



რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაზე

გია ნოდია

მოკლე შეჯამება

რუსეთის ომი უკრაინის წინააღმდეგ ჯერ კიდევ მიმდინარეობს, მაგრამ რაც არ უნდა იყოს მისი შედეგი, ის მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ პოლიტიკაზე. საქართველოზე მისი გავლენა შეიძლება განსაკუთრებით დიდი აღმოჩნდეს. ქართულ საზოგადო ებაში არსებობს მოლოდინი, რომ ომი და მისი შედეგები შეცვლის საქართველოს არა მხოლოდ საგარეო-პოლიტიკურ პოზიციონირებას, არამედ შიდაპოლიტიკურ ვითარებასაც.

ომის გრძელვადიან შედეგებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. ამ ნარკვევში შევეცადეთ, შეგვეფასებინა გავლენა, რაც ომმა საქართველოზე უკვე მოახდინა.

პირველ რიგში, ეს გავლენა საგარეო-პოლიტიკურ გრემოზე აისახა. მან ძირულად შეცვალა ევროპელების დამოკიდებულება უკრაინის მიმართ, რის შედეგადაც ეწ. „ასოცირებული ტრიოს“ სამივე წევრს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა. მაგრამ, დანარჩენი ორი ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველომ წევრობის კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღო. ეს, მოცემულ ეტაპზე მაინც, ისტორიული შანსის დაკარგვას ნიშნავდა. მეტიც, იმის მაგივრად, რომ საქართველოსა და ევროპას შორის მეტი დაახლოების და ქვეყნის შიგნით ახალი დემოკრატიული რეფორმების სტიმულად ქცეულიყო, ახალ საერთაშორისო გარემოში საქართველო კიდევ უფრო დამორდა დასავლეთს, თუმცა ეს ტენდენცია მანამდეც შეიმჩნეოდა.

თუ მანამდე მმართველი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მკვეთრად უარყოფნენ დასავლეთიდან მომდინარე კრიტიკას და თავს ესხმოდნენ მის გამომთქმელ ცალკეულ პოლიტიკოსებს, ახლა მთლიანად დასავლეთი, გარკვეულ ასპექტებში მაინც, მტრად მოიაზრება. მმართველმა პარტიამ შექმნა და გაავრცელა შეთქმულების ორინა, რომლის თანახმადაც არსებობს ფარული შეთანხმება კოლექტიურ დასავლეთს, უკრაინის ხელისუფლებასა და საქართველოს ოპოზიციას შორის საქართველოს უკრაინის ომში ჩაორევის და/ან სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მიზნით. საქართველოს პოლიტიკის ნებისმიერი კრიტიკა დასავლური დემოკრატიების თუ შიდა მოთამაშების მხრიდან ამ შეთქმულების ნაწილად განიხილება. კერძოდ, „ქართული ოცნების“ დამდეგები ამით ხსნან ევროკავშირის გადაწყვეტილებას, საქართველოსთვის ამ ეტაპზე წევრობის სტატუსი არ მიენიჭებინა.

რაც შეეხება შიდაპოლიტიკურ განზომილებას, ომს თვისობრივად არაფერი შეუცვლია, მაგრამ მან კიდევ უფრო გაღრმავა ტოქსიკური პოლარიზაციის და დემოკრატიის უკანდანევის უკვე არსებული ტენდენციები. ხელისუფლება ნებისმიერ საშინაო კრიტიკოსს „ომის პარტიის“ მხარდამჭერს უწოდებს. მეორეს მხრივ, თუ მანამდე ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილი სდებდა ბრალს ხელისუფლებას შეფარულად პროცესულ პოზიციაში, დღეს ეს ხედვა ფართოდ გავრცელებული გახდა და მას ზოგიერთი საერთაშორისო ანალიტიკოსიც იზიარებს.

შინაარსი

მოკლე შეჯამება

1. საწყისი ვითარება: პოლიტიკური ფონი რუსეთ-უკრაინის ომის წინა პერიოდში

2. საქართველოს რეაქცია რუსეთის აგრესიაზე: უკრაინის მიმართ და მისი ურთიერთობა საერთაშორისო დემოკრატიულ თანამეგობრობასთან

3. განსხვავებული დამოკიდებულებები რუსეთ-უკრაინის ომის მიმართ და მათი გავლენა შიდაპოლიტიკურ სიტუაციაზე

4. დასკვნები და რეკომენდაციები

დანართი: ქართველ ექსპერტებს საქართველოს ხელისუფლების პროდასავლური ორიენტაციისა არ სკერათ და პერიმისტერულ უფურებენ ცვლილების პერსპექტივას

მიუხედავად მუდმივი ანტიდასავლური რიტორიკისა, ხელისუფლება უარს არ ამბობს დეკლარირებულ პროდასავლურ კურსზე და აცხადებს მზაობას, შეასრულოს ევროკავშირის რეკომენდაციები, რომლებიც ევროკავშირის წევრობის კანდიდატად ცნობის წინაპირობაა. მაგრამ მისი ზოგადი პოზიცია ეჭვის ქვეშ აყენებს ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების ან დემოკრატიული პროგრესის მიმართულებით რაიმე ნაბიჯის გადადგმის პერსპექტივას. ქვეყანა იმ საფრთხის წინაშე დგას, რომ შეუქცევადად დაკარგოს ევროინტეგრაციის ისტორიული შანსი. საქართველოს ოპოზიციას და სამოქალაქო საზოგადოებას დასჭირდება სისტემური, გაბედული და მიზანსწრაფული ქმედებები ამ შემამუოთებელი ტენდენციის გადასატეხად. მაგრამ ჯერჯერობით არც ისინი ჩანან მზად ამ ამოცანის გადასაწყვეტად.

ამ პოლიტიკის ნარკვევის მიზანი ხსენებული ტენდენციების გაანალიზება და, არსებულ ვითარებაში, სასურველი სამოქმედო სტრატეგიის დასახვაა. მას დანართის სახით თან ახლავს ორი საექსპერტო კვლევის შედეგი, რომლებიც 2022 წლის მაისში და აგვისტოში ჩატარდა.

© 2022 მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
თბილისი, 0154 აკაკი წერეთლის 72; www.cipdd.org
კონტაქტი: info@cipdd.org; +995 32 2355154

პოლიტიკის ნარკვევი მომზადდა დემოკრატიის ეროვნული ფონდის (აშშ) ფინანსური დახმარებით. მისი ავტორია გია ნოდია, ვერონიკა ჭკადუას მონაწილეობით. ტექსტი არ გამოხატავს დემოკრატიის ეროვნული ფონდის აზრს.

ნარკვევის მომზადებისას ჩატარდა პოლიტიკის ქართველ ექსპერტთა ორი გამოკითხვა, რომელთა ანგარიში თან ახლავს ამ დოკუმენტს.

1. საჭყისი ვითარება: პოლიტიკური ფონი რუსეთ-უკრაინის ომის შინა პერიოდში

ვითარება, რომელშიც საქართველო უკრაინის ომის დასაწყისისთვის იმყოფებოდა, შეიძლება შეფასდეს როგორც დემოკრატიული ინსტიტუტების ხანგრძლივი კრიზისი. ძნელია ცალსახად განვსაზღვროთ საწყისი მომენტი, როდესაც უკუსვლის ტენდენცია გამოიკვეთა, მაგრამ პოლიტიკურ ექსპერტებს შორის თითქმის არავინ დავობს, რომ სულ მცირე, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში საქართველოს მმართველობით და პოლიტიკური სისტემა სულ უფრო შორდება დემოკრატიის ნორმებს. ამის პარალელურად, უარესდებოდა საქართველოს ურთიერთობა დემოკრატიულ საერთაშორისო თანამევობრობასთან.¹

1.1. დემოკრატიის უკანდახევის ტენდენცია

საქართველოს პოლიტიკური რეჟიმი არც ერთ ეტაპზე არ აქმაყოფილებდა დემოკრატიის მინიმალურ მოთხოვებს. სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში ამის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებები იყო არასამართლიანი საარჩევნო გარემო, მმართველი პარტიის დომინანტი პოზიცია მმართველობის ყველა შტოში, მათ შორის მის მიერ სასამართლდაცვის სისტემის კონტროლი, პოლიტიკური პოლარიზაციის განსაკუთრებით ტოქსიკური ხასიათი, პოლიტიკური პარტიების სისტემის ზოგადი სტრუქტურული სისუსტე და ა.შ. 2012 წელს „ქართულო ცცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამას დაემატა ოპონენტების შერჩევითი პოლიტიკური დევნისთვის სამართალდაცვის სისტემური გამოყენება და არაფორმალური მმართველობა, რაც „ქართული ოცნების“ დამარსებელის, ხმირად „ოლიგარქად“ წოდებული მიღიარდები ბიძინა ივანიშვილის განსაკუთრებულ როლს გულისხმობს: 2013 წელის ოქტომბერში პრემიერ მინისტრის პისტიდან გადადგომის შემდეგ ის არ იკავებს სახელმწიფო თანამდებობებს, მაგრამ მმართველი პარტიის პოლიტიკის ფაქტობრივ განმსაზღვრელად ითვლება.

ამ ფონზე, ბოლო წლებში დამატებით გამოიკვეთა ახალი ნეგატიური ტენდენციები, მათ შორის:

(1) პარლამენტის, როგორც წარმომადგენლობითი დემოკრატიის ძარისადამ ინსტიტუტის, როლის და ლეგიტიმურობის შეტრიქბა. ეს დაიწყო ოპოზიციის გადაწყვეტილებით, არ მიეღო 2020 წლის არჩევნების შედეგის დეგიტამურობა და უარი განეცხადებინა პარლამენტში შესავლაზე. მართალია, შემდეგ თითქმის ყველა ოპოზიციურმა პარტიამ უარი თქვა ბოიკოტის პოლიტიკაზე, მათი საპარლამენტო მუშაობა მაინც არასრულფასოვანი რჩება, მათ შორის

იმიტომაც, რომ იმავე ოპოზიციამ 2020 წლის პარლამენტი თავდაპირველად არალეგიტიმურად გამოაცხადა და ამის შემდეგ გაუჭირდა, ნორმალურ საპარლამენტო ცხოვრებას დაბრუნებოდა. სოციალურ ქსელებში ოპოზიციის აქტივირი მხარდამჭერებისგან პერიოდულად ისმის მოწოდებები, ოპოზიცია ბოიკოტის რეჟიმს დაუბრუნდეს.

(2) ხელისუფლების გაზრდილი შეუწიქარებლობა ოპონენტების მიმართ. თუმცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება თავიდანვე ეჭვებეშ აყენებდა პოლიტიკური ოპოზიციის ლეგიტიმურობას, ბოლო ხანებში მან ეს დამოკიდებულება გაავრცელა ყველა თავის კრიტიკოსზე, მათ შორის დამოუკიდებელ მედიაზე, სამოქალაქო საზოგადოებაზე² და ზოგიერთ საჯარო ინსტიტუტებც კი, რომელიც მმართველი პარტიის კონტროლს არ დაექვემდებარა (როგორიცაა სახალხო დამცველი,³ ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური⁴). თითქმის შეწყდა ხელისუფლების კონტაქტები სამოქალაქო საზოგადოებისთვის; იშვათი გამონაკლისის გარდა, ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობას აღარ იღებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზებულ ღონისძიებებში.

სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში დემოკრატიის ნაკლულობის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებები იყო არასამართლიანი საარჩევნო გარემო, მმართველი პარტიის დომინანტი პოზიცია მმართველობის ყველა შტოში, მის მიერ სასამართლდაცვის სისტემის კონტროლი, პოლიტიკური პოლარიზაციის ტოქსიკური ხასიათი, პოლიტიკური პარტიების სისტემის ტრუქტურული სისუსტე.

ამგვარი დამოკიდებულების განსაკუთრებით ოვალსაჩინო გამოხატულებად იქცა 2021 წლის 5 ივნისის მოვლენები, როდესაც ხელისუფლების რიტორიკამ არაპირდაპირ წაახალისა ულტრამემარჯვენ ექსტრემისტების მასობრივი ძალადობა უზრნალისტების და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ, რის შედეგად 50 ადამიანი დაშავდა. ერთი უზრნალისტი შემდეგ გარდაიცვალა (დიდი ალბათობით, მიყენებული ტრავებისგან). ამის შემდეგ, მხოლოდ თავდამსხმელთა მცირე რაოდენობა დასაჯეპი, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები, თავის საჯარო გამონაოქამბები, აღნიშნულ მოვლენებზე ბრალს უზრნალისტების და სამოქალაქო აქტივისტების პროვოკაციულ ქმედებებზე ავრცელებდნენ.⁵

(3) დემოკრატიული რეფორმების გატარების წების არქონა. თავისი მმართველობის პირველ პერიოდში ქართული ოცნების ხელისუფლებამ მოახდინა საკანონმდებლო ცეკვილებები, რომელთაც ბევრი დამკვირვებელი დემოკრატიის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად აფასებდა. ეს შეეხებოდა საარჩევნო სისტემას, მართლმსაჯულების სფეროს და სხვ. თუმცა ამ რეფორმების ზოგადი შედეგები საკამაოა,

თვით მათი გატარების ფაქტი დემოკრატიის სფეროში გარკვეული პროგრესის მიღწევის ნებას წარმოაჩენდა. ბოლო წლებში ამგვარი რეფორმებიც შეხერდა. განსაკუთრებით მმაფრ კრიტიკას იწვევს მართლმსაჯულების სფეროს მდგრმარება.⁶

(4) ოპოზიციის დასუსტება. ოპოზიციის რადიკალიზებული სტრატეგიის მარცხმა, რომელიც პარლამენტის ბოიკოტსა და მიხეილ სააკაშვილის განთავისუფლების მოთხოვნით გამართული აქციების წარუმატებლობაში გამოიხატა, მის მომხრეებში დემორალიზაცია გამოიწვია. ოპოზიცია საზოგადოებას ვერ წარუდგენს მისთვის გასაგებ სტრატეგიას. შეიმჩნევა ლიდერობის კრიზისი მთავარ ოპოზიციურ პარტიაში, ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში, სადაც პარტიის აქტიური მხარდამჭერები ხშირად უნდობლობას უცხადებენ არსებულ ლიდერებს. მეორეს მხრივ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შესამჩნევად შესუსტდა ე.წ. „მესამე“ პარტიების მხარდაჭერა.

ყოველივე ეს აისახა საქართველოში დემოკრატიის ხარისხის გაუარესებულ შეფასებებზე აკტორიტეტული საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციების მხრიდან.⁷ ამ შეფასებას ქართული საზოგადოებაც იზიარებს: 2022 წლის აგვისტოს გამოკითხვით, 62% პროცენტი საქართველოს დემოკრატიად არ მიიჩნევდა და მხოლოდ 30% აღიქმნადა სისტემას დემოკრატიულად. ეს ყველაზე პესიმისტური მაჩვენებელი ბოლო 12 წლის განმავლობაში.⁸ ამავე დროს, ქართული საზოგადოების კრიტიკულ ნაწილში შეიმჩნევა პესიმიზმი ქვეყანაში დემოკრატიის პროგრესის პერსპექტივის მიმართ.

1.2. დემოკრატიული საერთაშორისო თანამეგობრობისგან დაშორების ტენდენცია

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავების დაპირებით მოვიდა, თუმცა ამ პოლიტიკის რუსეთთან ურთიერთობას დარეგულირებასთან შეთავსებასაც ვარაუდობდა. მისი მმართველობის პირველმა წლებმა დამკგირველებელთა დიდ ნაწილს შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ ის ამ სტრატეგიის ერთგული იყო. საქართველოშ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, მიიღო შენგენის ქვეყნებში მოგზაურობისთვის უვიზო რევიზი, წარმატებით ატარებდა რეფორმებს, რომლებიც ევროკავშირთან დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესრულებაზე იყო მიმართული.⁹ პარალელურად, შედარებით ნაკ-

ბოლო პერიოდში გამოიკვეთა სულ უფრო მკაფიო განსხვავებები საქართველოს ხელისუფლებასა და დასავლელ პარტნიორებს შორის ფუნდამენტური დირექტივის დონეზე.

ლებ დაძაბული გახდა ურთიერთობა რუსეთის ფედერაციისთვის, რაც უფრო თაგშეკავებული რიტორიკით და ეკინომიკური ურთიერთობების გაღრმავებით გმოიხატა. დასავლეო, ზოგადად, წარმატებულად თვლიდა ამ პოლიტიკას.

მაგრამ დემოკრატიის უკანდახევის წინა მონაკვეთში აღწერილმა ტენდენციამ საქართველოს დასავლელ პარტნიორთა მხრიდან გახშირებული კრიტიკა გამოიწვია. ადრე ხელისუფლება ასეთ კრიტიკას კორექტულად ხვდებოდა, თუმცა ყოველთვის არ ეთანხმებოდა. ბოლო წლებში ეს შეიცავდა. საქართველოს ხელისუფლება სულ უფრო ნაკლებად იწყნარებს დემოკრატიული თანამეგობრობიდან მომდინარე კრიტიკას და დასავლელი პარტნიორების მიმართ უაღრესად მკვეთრ განცხადებებს არ ერიდება.¹⁰

მმართველი პარტიის გამოსვლა ოპოზიციურ პარტიებთან დადებული ხელშეკრულებიდან, რომელიც ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარის, შარლ მიშელის პირადი წარმომადგენლის შუამავლობით დაიდო,¹¹ მისი უარი ევროკავშირის შეღავთიან კრედიტზე (რომლის გაცემასაც, როგორც შემდეგ გაირკვა, თავად ევროკავშირი არ აპირებდა, რადგან საქართველოს ხელისუფლებამ საჭირო რეფორმები არ გაატარა)¹² საქართველოს ხელისუფლებასა და მის დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობის გაციების ოვალსაჩინო ნიშნები იყო.

ცხადია, არც ერთ ხელისუფლებას არა აქვს ვალდებულება, პარტნიორების რეკომენდაციები მიიღოს. აპრიორი არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ევროკავშირისგან ან სხვა დასავლელი პარტნიორებისგან მომდინარე რჩევები ყოველთვის სწორია და საქართველოს ინტერესებს შეესაბამება. მაგრამ ის, რაც ბოლო პერიოდში გამოიკვეთა, არის სულ უფრო მკაფიო განსხვავები საქართველოს ხელისუფლებასა და დასავლელ პარტნიორებს შორის ფუნდამენტური დირექტივების დონეზე. ამის შედეგად, დასავლეთის სხვადასხვა დონის წარმომადგენლებისგან სულ უფრო ხშირად გვესმის, რომ მათ ადარ იციან, საით მიდის საქართველო,¹³ ანუ დაკარგებს იმის რწმენა, რომ ევროპული ტიპის დემოკრატია საქართველოს არჩევანია.

ეს ორი განზომილება – დემოკრატიის უკანდახევა და დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობის გაუარესება – საქართველოს შემთხვევაში ერთი მედლის ორი მხარეა. იმ პაროლებში, როდესაც ქვეყნის განუვითარებელი დემოკრატიული ინსტრუტები ვერ აწონასწორებებს მმართველი პარტიის დომინანტ პოზიციას, დასავლეთის გავლენა, ნაწილობრივ მაინც, ამის კომპენსაციას ახდენს. საქართველოს ხელისუფლების ქცევაზე დასავლეთის გავლენის შესუსტება მოასწავებს, რომ მისი აგტორიტარული მიღრეკილებების მოთოვა უფრო რთული გახდება.

2. საქართველოს რჩაშინა რუსეთის აგრძელიაზე უკრაინის მიმართ და მისი ურთიერთობა სამორთაშორისო დემოკრატიულ თანამეგობრობასთან

ომის პარადოქსული გავლენა მოახდინა ურთიერთობაზე საქართველოსა და საერთაშორისო დემოკრატიულ თანამეგობრობას შორის. ომის კონტექსტში საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, შეეტანა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე, რაც ლოგიკურად გულისხმობს მეტ დაახლოებას ევროკავშირთან და ზოგადად დასავალეოთან. მეორეს მხრივ, სწორედ მისი ფონმა მისცა სტიმული ურთიერთობის უპრეცედენტო გაუარესებას საქართველოსა და დემოკრატიულ საერთაშორისო თანამეგობრობას შორის.

ომამდე, ევროკავშირი უარს ამბობდა ევროპული პარტნიორობის ქვეყნებისთვის წევრობის პერსპექტივის განხილვაზე, მაშინ როდესაც ევროკავშირის ასოცირებული წევრები – მოლდოვა, უკრაინა და საქართველო (ევროკავშირთან მიმართებაში, ამ ქვეყნას ხშირად „ტრიოდ“ მოიხსენიებდნენ¹⁴), დაუინებით ითხოვდნენ მათი ევროპული იდენტობის აღიარებას და მათვის ევროკავშირის წევრობის თუნდაც ზოგადი შესაძლობლობის დაშვებას. რუსეთის აგრესიამ, უკრაინის გმირულმა წინააღმდეგობამ და ამ ქვეყნის მიმართ ევროპულების სოლიდარობამ ეს ვითარება არსებითად შეცვალა: ევროკავშირმა გადაწყვიტა, უკრაინის წევრობის განაცხადი განეხილა.¹⁵

ამან ტრიოს დანარჩენი ორი წევრის, მოლდოვასა და საქართველოს, გაემზებზეც მოახდინა გავლენა. ომამდე საქართველოს ხელისუფლება აცხადებდა, რომ ის 2024 წლისთვის აპირებდა ევროკავშირში განაცხადის შეტანას. ჯერ კიდევ 1 მარტს მმართველი პარტიის თავმჯდომარემ, ინაკლი კობახიძემ, უარყო თაოზიციის შეთავაზება, რომ საქართველოს, უკრაინის კვალად, წევრობის განაცხადი დაჩქრებულად შეეტანა და გაიმეორა, რომ ეს მხოლოდ 2024 წელს მოხდებოდა.¹⁶ მაგრამ ორი დღის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა დარიბაშვილმა განაცხადს ხელი მოაწერა.¹⁷ უცნობია, კერძოდ რამ შეაცვლევინა გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლებას, თუმცა ეს მოლდოვასთან და/ან ევროკავშირთან შეთანხმებით შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ამ ორმა ქვეყნამ განაცხადი ერთსა და იმავე დღეს შეიტანა.¹⁸

ომის კონტექსტის გათვალისწინებით, ევროკავშირმა შემჭიდროვებულ ვადებში განიხილა სამი ქვეყნის განაცხადი. იყნის ბოლოს ევროკავშირის საბჭომ, ევროკომისიის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, საქართველოს მეტად არასასიამოვნო გადაწყვეტილება მიიღო: უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიენიჭა, ხოლო საქართველოს საკითხი გადადო, რადგან მას „ჯერ კიდევ შესასრულებელი ჰქონდა საშინაო დაგალებები“. საქართველოს მიერიჭა ზოგადი ევროპული პერსექტივია – ომამდე ეს დიდი მიღწევა იქნებოდა, მაგრამ ახალ კონტექსტში ევროკავშირის გადაწყვეტილება საქართველოს „ტრიოდან“ გარიცხვას და მისი სტატუსის დაქვეითებას ნიშნავდა.¹⁹ მართალია, ომის გამო უკრაინა განსაკუთრებულ შემოხვევას შეადგენდა, მაგრამ საქართველოსთვის განსაკუთრებით მტკიცნებული იყო, რომ მოლდოვის უკანაც დააყენეს.

ომის კონტექსტში საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, შეეტანა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. მეორეს მხრივ, სწორედ ომის ფონმა მისცა სტიმული ურთიერთობის უპრეცედენტო გაუარესებას საქართველოსა და დემოკრატიულ საერთაშორისო თანამეგობრობას შორის.

ომის კონტექსტში საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, შეეტანა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. მეორეს მხრივ, სწორედ ომის ფონმა მისცა სტიმული ურთიერთობის უპრეცედენტო გაუარესებას საქართველოსა და დემოკრატიულ საერთაშორისო თანამეგობრობას შორის.

ამით საქმე არ სრულდება: ევროკავშირი გეგმავს, დაუბრუნდეს საქართველოს განაცხადის განხილვას მას შემდეგ, რაც საქართველო თავის „საშინაო დაგალებას“, ანუ ევროკომისიის შემუშავებულ ოორმეტ რეკომენდაციას შეასრულებს.²⁰ ეს სადღაც 2023 წელს უნდა მოხდეს.²¹

რატომ არ მისცა საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი? წლების განმავლობაში, საქართველო „ტრიოს“ მოწინავე წევრად ითვლებოდა, განსაკუთრებით კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით. „ქართული ოცნების“ საწყისი ახსნა ის იყო, რომ მთავარი როლი გეოგრაფიაში შეასრულა, თორემ ქვეყნების დამსახურებიდან გამომდინარე, ევროკავშირის არაგვითარი საფუძვლი არ ჰქონდა, უკრაინისა და მოლდოვისთვის უპირატესობა მიენიჭებინა საქართველოსთან შედარებით.²² ის დაეყრდნო საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის განცხადებას, რომელმაც მხარი დაუჭირა კანდიდატის სტატუსის მინიჭებას უკრაინისა და მოლდოვისთვის და არა საქართველოსთვის და ეს სწორედ გეოგრაფიის მოსაზღებით გაამართლა.²³

გულუბრყვილო იქნებოდა, გამოგვერიცხა გეოგრაფიის მნიშვნელობა ზოგადად პოლიტიკაში და, კერძოდ, ევროკავშირის გაფართოებასან დაგავშირებულ საკითხებში. მაგრამ არც ევროკომისიას და არც ევროსაბჭოს არ უჩისნებია გეოგრაფია, როგორც მიზეზი, რის გამოც საქართველოსთვის წევრის სტატუსის მინიჭება საჭიროდ არ ჩაოვალა. იმით, რომ საქართველოს ევროპული პერსექტივია გაუსწინა და კანდიდატის სტატუსის საკითხი შედარებით მცირე ხნით გადადო და არა უპირობოდ უარყო, მან თვალსაჩინოდ გამორიცხა გეოგრაფიული ფაქტორის გადამწუმეტი მნიშვნელობა.

რაც გინდა სავარაუდო ფარული მოტივები მივაწეროთ ევროკავშირის ღიძეების გადაწყვეტილებას, ევროკავშირს სრული საფუძველი ჰქონდა, ის ქვეწის მიღწევების ამსახველ მაჩვენებლებზე დაემჭარებინა, განსაკუთრებით დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში. ამის დასახახად, დავუძრუნდეთ ქვეწის მაჩვენებლებს დემოკრატიის რეიტინგებში.²⁴ 2017 წლის უერნალ „ეკონომისტის“ „დემოკრატიის ინდექში“ როგორც მოლდოვა, ისე საქართველო „პიმორიდული რეჟიმების“ კატეგორიაში ხვდებოდა და თოქმის იდენტური შეფასებები ჰქონდა (შესაბამისად, 5.94 და 5.93, რითაც ისინი 78-ე და 79-ე ადგილებს იკავებდნენ). 2021 წლისთვის, მოლდოვამ უფრო მაღალ, „ნაკლები დემოკრატიების“ კატეგორიაში გადაინაცვლა (შეფასება – 6.10, 69-ე ადგილი), მაშინ როდესაც საქართველოს შეფასებაც და რანგიც საგრძნობლად დაქვეითდა (შესაბამისად, 5.12 და 91). მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით მოსალოდნელია, ეს განსხვავება კიდევ უფრო გაიზარდოს. საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების შესარულების შესახებ 2022 წლის ანგარიშში ევროკომისიამ აღნიშნა, რომ განხორციელდა ცალკეული წარმატებული რეფორმები, მაგრამ, ამავე დროს, იყო „უკუსვლა სამართლის უზენაესობის, მმართველობის და ადამიანის უფლებების საკვანძო სფეროებში.“²⁵ ევროკავშირის მხრიდან მეტად არალოგიკური იქნებოდა, კანდიდატის სტატუსი მიენიჭებინა ქვეწისთვის, როდესაც ის რამდენიმე წლის განმავლობაში დემოკრატიის დაქვეითების მყარ ტენდენციას ავლენს და მის შექცევას არ ცდილობს.

ზოგადად ითვლება, რომ ევროინტეგრაციის პროცესი ძლიერი სტიმულია დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად: ამის მაგალითთა 2000-იანი წლების დასაწყისი, როდესაც ცენტრალური ევროპის ყოფილი კომუნისტური ქვეწი ევროკავშირის წევრობისთვის ემზადებოდნენ. ბუნებრივი იქნებოდა მოლოდინი, რომ ევროკავშირის წევრობის განაცხადის შეტანის შემდეგ „ქართული ოცნება“ შეეცდებოდა, აემაღლებინა თავისი, როგორც დემოკრატიული მისწრაფებების მქონე ქვეწის იმიჯი და ევროპელი პოლიტიკური მოთამაშები დემოკრატიული ნორმების ერთგულებაში დაერწმუნებინა. მაგრამ საპირისპირო მოხდა.

განსხვავებულმა დამოკიდებულებებმა უკრაინის ომის მიმართ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ღირებულებითი ნაპირადი „ოცნების“ ხელისუფლებასა და დასავლეთს, აგრეთვე მასსა და ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს შორის (ამაზე ამ ნარკვევის შემდეგ მონაცემთში). ხელისუფლებამ ომის მიმართ იმოავითვე გაორებული პოზიცია დაიკავა. ერთი მხრივ, მან გააკეთა ზოგადი განცხადები უკრაინის მხარდასაჭერად, გაეროში ხმა მისცა რუსეთის აგრესის დამგმიბ რეზოლუციას,³⁰ გააგზავნა უკრაინაში ჰუმანიტარული დაბმარება, დააკრი გაუსწინა საქართველოში ჩამოსულ უკრაინელ ლტოლვილებს და ა.შ. ამავე დროს, მან კატეგორიულად გამორიცხა რუსეთის წინააღმდეგ რაიმე სახის ეკონომიკური სანქციებისთვის მიერთება;³¹ აფრენის საშუალება არ მისცა თვითმფრინავს, რომლითაც ქართველი მოხალისე მებრძოლები უკრაინაში უნდა გამგზავრებულიყვნენ;³² მართველმა პარტიამ უკრი თქვა, პარლამენტში მიეწვია უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი

ტიკოსებმა გვარამიას წინაამდღეგ წამოყენებულ სამართლებრივ ბრალდებებს უსაფუძვლო უწოდეს და საქმე პოლიტიკური ოპინიტების დევნის გამკვეთილ ნიმუშად დაინახეს.²⁷

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პოლიტიკურად მოტივირებული დევნა, რაც თავისთვავად უზარმაზარი პრობლემაა, არამედ შერჩეული ღროც. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ეს, რბილად რომ ვთქვათ, უაღრესად საგამათო ნაბიჯი გადადგა იმ პერიოდში, როდესაც კველაზე უფრო მეტი მოტივი უნდა ჰქონდა, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ნორმების მიმართ თავისი ერთგულების დემონსტრაცია მოეხდინა. მისმა გადაწყვეტილებამ (იმის გათვალისწინებით, რომ არა გვაქვს საფუძვლი, სასამართლო ვერდიქტის დამოუკიდებლობა ვიწამო) აჩვენა, რომ ხელისუფლებას არა მხოლოდ კველაფერი არ გაუკეთებია თავისი მიზნის – ქვეწისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის – მისაღწევად, არამედ სერიოზულად არ ეკიდებოდა ამ ამოცანას ან, შესაძლოა, საკუთარი განაცხადის შეგნებულ საბოტაჟსაც კი ეწეოდა.²⁸

ეს მიანიშნებს ღრმა ნაპრალზე, რაც „ოცნების“ ხელისუფლების ხედვასა და მიღომებს გამოყოფს იმ ნორმებისა და ღირებულებებისგან, რაზეც დასავლური დემოკრატიები დგას. ამის ერთ-ერთი გამოხატულება ისიცაა, რომ მმართველი პარტია არც კი აღიარებს ქართულ პოლიტიკურ სისტემაში პრობლემების არსებობას: მისი თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის აზრით, დემოკრატიის ხარისხი საქართველოში ძალიან მაღალია, პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ ეკონომიკის განვითარების ტემპი მას ვერ ეწევა.²⁹ ამ ხედვიდან გამომდინარე ბუნებრივია, რომ ხელისუფლება დემოკრატიის განვითარების ახალი სერიოზული ინიციატივებით არ გამოდის.

განსხვავებულმა დამოკიდებულებებმა უკრაინის ომის მიმართ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ღირებულებითი ნაპრალი „ოცნების“ ხელისუფლებასა და დასავლეთს, აგრეთვე მასსა და ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს შორის (ამაზე ამ ნარკვევის შემდეგ მონაცემთში). ხელისუფლებამ ომის მიმართ იმოავითვე გაორებული პოზიცია დაიკავა. ერთი მხრივ, მან გააკეთა ზოგადი განცხადები უკრაინის მხარდასაჭერად, გაეროში ხმა მისცა რუსეთის აგრესის დამგმიბ რეზოლუციას,³⁰ გააგზავნა უკრაინაში ჰუმანიტარული დაბმარება, დააკრი გაუსწინა საქართველოში ჩამოსულ უკრაინელ ლტოლვილებს და ა.შ. ამავე დროს, მან კატეგორიულად გამორიცხა რუსეთის წინააღმდეგ რაიმე სახის ეკონომიკური სანქციებისთვის მიერთება;³¹ აფრენის საშუალება არ მისცა თვითმფრინავს, რომლითაც ქართველი მოხალისე მებრძოლები უკრაინაში უნდა გამგზავრებულიყვნენ;³² მართველმა პარტიამ უკრი თქვა, პარლამენტში მიეწვია უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი

მაშინ, როცა მან მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პარლამენტებს მიმართა.³³

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხელისუფლების რიტორიკა ხშირად არამეგობრული იყო უკრაინის მიმართ და არსებითად შორდებოდა დემოკრატიული საერთაშორისო თანამეგობრობის შეფასებებს. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ირიბად გავრცელა ომზე პასუხისმგებლობა უკრაინის ხელისუფლებაზე იმის თქმით, რომ „უკრაინიმ ომი თავიდან ვერ აიცილა“; მანვე განაცხადა, რომ საერთაშორისო სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ შედეგი არ ექნებოდა.³⁴

ომის პირველ დღეებში გასაგები იყო სკეპტიკიზმი, რომ უკრაინა რუსეთის აგრესიასთან გამკლებებას შეძლებდა. ამითვე შეიძლება ავსხნასთ ხელისუფლების ფრთხილი რეაქცია, რომელიც საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებას პირველ ადგილზე აყენებდა. საქართველო, ისევე როგორც მოლდოვა, რუსეთის აგრესის მორიგი სამიზნე შეიძლებოდა გამხდარიყო და დასავლეთს არ ჰქონდა რესურსები ამის თავიდან ასაცილებლად, ისევე, როგორც მან უკრაინაში რუსეთის აგრესის თავიდან აცილება ვერ შეძლო. საქართველო და მოლდოვა ნატოს წევრ ქვეყნებზე ნაკლებ დაცულები იყვნენ და მეტი თაგშეკავება მართებდათ. გარდა ამისა, რუსეთთან ეკონომიკური კონტაქტების სრული გაწყვეტა საქართველოს ეკონომიკას უფრო მძიმე დარტყმას მიაყენებდა, ვიდრე ევროპული ქვეშებისას, თუმცა სერიოზული ტკივილი ამ უკანასკნელებსაც მიადგა. რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გამოყენებაზე მოლდოვაც დიდხანს ფეხს ითრევდა, თუმცა კანდიდატის სტატუსი მაიც მიიღო. დასავლელი პოლიტიკოსებისა და დაპლომატების უმრავლესობა აღიარებდა, რომ ამ ქვეყნებს სერიოზული მიზეზები ჰქონდათ თაგშეკავებისთვის.

ეს არგუმენტები, რასაც „ოცნება“ და მისი მომხრეები თავისი მიღების გასამართლებლად იყენებენ, თავისთვავად ვალიდურია, მაგრამ არასაკმარისი. პოლდებული იმაშია, რომ უკრაინის ომის მიმართ „ოცნების“ რიტორიკის და მისი გადადგმული ნაბიჯების ერთობლივია დადადაა აცდენილი საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის კონსენსუსს. სხვა ყველაფერთან ერთად, ეს გამოჩნდა ხელისუფლების უკიდურესად არამეგობრულ რიტორიკაში უკრაინის მთავრობის მიმართ, რაც თანაბათან დასავლეთის წინააღმდეგ შეტევებში გადაიზარდა.

ეს შეტევები ძირითადად ტრიალებს შეთქმულების თეორიის გარშემო, რომლის თანახმადაც დასავლეთი, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით და უკრაინის მთავრობასთან და ქართულ ოპოზიციასთან შეთანხმებით, საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობს. ამ თეორიას საწყისი ბიძგი მისცა ზოგი უკრაინელი ოფიციალური პირის გამონათქვამებმა, რომელთა

თანახმადაც საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნა უკრაინისთვის მომგებიანი იქნებოდა (ამაში იგულისხმებოდა, რომ საქართველოს შეეძლო, ოკუპირებული რეგიონებიდან რუსეთის ჯარების გასვლით ესარგებლად და მათზე ქონტროლის დამყარება ეცადა).³⁵ საქართველოში არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს ამ იდეისთვის მხარი არ დაუჭერია. ამის მიუხედავად, ხელისუფლება აღაპარადა ფარულ შეთანხმებაზე უკრაინის ხელისუფლებასა და ქართულ ოპოზიციას შორის საქართველოს ომში ჩათრევის მიზნით.³⁶ საბოლოოდ, ხელისუფლებამ ეს მთავარ ომად აქცია უკრაინის ხელისუფლებასთან, შიდა ოპოზიციასთან და დასავლეთოთან ურთიერთობაში.

ხელისუფლი თეორია მედიაში „ქართული ოცნების“ სუროგატებმა უფრო გააფართოვეს და კონკრეტული დეტალებით გაამდიდრებს,³⁷ ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სულ მცირე, ირიბად დაადასტურეს.³⁸ მის თანახმად, შეერთებული შტატების მთავრობა ხელმძღვანელობს საერთაშორისო შეთქმულებას საქართველოს ომში ჩათრევის მიზნით. შეთქმულების ნაწილია ევროკავშირი და შევიცარიის საბანკო სისტემა, წარმოდგენილი ბანკით Credit Suisse, რომელთანაც ბიძინა ივანიშვილის სასამართლო დავა აქვს. თეორიის მიხედვით, აშშ იყენებს შევიცარიის ბანკს ივანიშვილზე ზეწოლის მოსახდენად, რათა ის ოფიციალურად დაუბრუნდეს ქვეყნის მართვას და ქვეყანა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართოს. ევროკავშირის უარი, საქართველოსთვის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭებინა, აგრეთვე აიხსნება იმით, რომ საქართველო საერთაშორისო ზეწოლას არ დაექვმდებარა და ომში არ ჩაერთო.³⁹

ანტი-დასავლური შეტევების ახალი ტალღა, ამჯერად მიმართული აშშ ელჩზე, კელი დეგნანზე, დაიწყო მას შემდეგ, რაც „ოცნების“ სამი დეპუტატი ფორმალურად გავიდა პარტიიდან, რათა საჯაროდ შეზღუდვების გრეშე ლაპარაკი შეძლებოდათ.⁴⁰ ამაში იგულისხმებოდა, რომ მმართველ პარტიას უეხერსულებოდა დასავლეთის მთავრობების „ბენელ საქმებზე“ ღიად ლაპარაკი, ამიტომ „გნდგომილები“ ამ ამოცანას თავის თავზე აიღებდნენ (მოგვიანებით, მათ მეოთხე დეპუტატიც შეემატათ).⁴¹ ამ ჯგუფმა რამდენჯერმე საჯაროდ მიმართ ელჩ დეგნანს, რათა მას ესაუბრა ბიძინა ივანიშვილთან მარტში გამართულ კონფიდენციალურ შეხვედრაზე, სადაც მან, თითქოს, საქართველოს ომში ჩაბმა ითხოვა. ივანიშვილი, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში საჯაროდ პოლიტიკაზე არაფერი უთქვამს, გაავრცელა წერილობითი განცხადება, რომელშიც დაადასტურა ამ შეხვედრის ნამდვილობა, თუმცა მის შინაარსზე არაფერი თქვა. ამავე დროს, მან არაპირდაპირ დაადასტურა ხსენებული შეთქმულების თეორია იმის აღნაშვნით, რომ ნამდვილად არსებობდა საქართველოს ომში ჩათრევის სერიოზული საფრთხე, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების სიმტკიცის წყალობით ის ჯერჯერობით

ძირითადად დაძლეულია.⁴² ამის შემდეგ, ელჩმა დეგნანმა დაადასტურა, რომ ნამდვილად პქნდა ბიძინა ივანიშვლთან კონფიდენციალური შეხვედრა, მაგრამ საქართველოს ოში მონაწილეება განხილული არ ყოფილა; მან გადაჭრით უარყო, რომ აშშ ხელისუფლებას რაიმე ინტერესი ჰქონდა, საქართველო ოში ჩაეთორა.⁴³ ამის მიუხედავდ, განდგომილთა ჯგუფს არ შეუჩერებია შეტევები აშშ ელჩის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ ის საქართველოს დესტაბილიზაციას ახდენდა იმით, რომ ხელისუფლებაში არაკონსტიტუციური მეთოდებით მოსვლის მოსურნე „რადიკალურ იპოზიციას“ უჭერდა მხარს.⁴⁴

საქართველოს ხელისუფლებას არასოდეს პქნია ასეთი მტრული დამოკიდებულება საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის მიმართ.

„განდგომილთა“ განცხადებები მეტად უცნაური იყო და მათი ფორმულირებები რუსული პროპაგანდისას ჰგავდა. მაგრამ „ქართული ოცნების“ არც ერთ წარმომდაგენერალს დისტანცირება არ მოუხდენია მათი განცხადებების შინაარსისგან და არ გაუკირიტიგებიათ ისინი მათი განდგომისა და შემდგომი საქმიანობისთვის;⁴⁵ ეს მკვეთრ კონტრასტს ქმნის იმასთან, როგორ ეპყრობოდნენ ისინი მათ, ვინც პარტია სხვადასხვა დროს მართლაც დატოვა. მეტიც, პარტიის ლიდერები თავად აგრძელებდნენ დასავლეთის მიმართ ბრალდებების შემცველი განცხადებების ქეთებას; მათ შორის იყო კრიტიკა ევროკავშირის ელჩის კარლ პარცელის მისამართით.⁴⁶ ყოველივე ეს მანიშნებს, რომ ამ ჯგუფის მმართველი პარტიიდან გასვლა „ქართული ოცნების“ პოლიტიკური თამაშის ნაწილი იყო, თუმცა ამისთვის მეტად უჩვეულო მეთოდი შეირჩა.

მხოლოდ ვარაუდების ქეთება შეიძლება იმაზე, თუ საბოლოოდ რა მიზანს ემსახურება ეს თამაში. მაგრამ, რაც არ უნდა ვითიქროთ ამაზე, მთავარია შემაშვილებელი ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებას არასოდეს პქნია ასეთი მტრული დამოკიდებულება საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის მიმართ.

ქვეყანა ჭეშმარიტად ისტორიული შანსის დაკარგვის წინაშე დგას.

ეს ლეგიტიმურს ხდის კითხვას, რამდენად შორს შეიძლება წავიდეს საქართველო ამ გზაზე. ბუნებრივია შედარება უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის 2013 წლის ნოემბერში გადადგმულ ნაბიჯთან, როდესაც მან ევროკავშირთან ასოცირდის იდეაზე უარი თქვა რუსეთთან ურთიერთობის გადრმავების სასარგებლოდ. ქართული ოპოზიციის ერთ ნაწილში ყოველვის პოპულარული იყო იდეა, რომ ივანიშვილს რუსეთთან დაახლოების ფარული გეგმა აქვს, მაგრამ დღეს საერთაშორისო ანალიტიკოსებთვისაც კი ჩვეულებრივი ხდება იმის თქმა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფ-

ლება პრორუსულია.⁴⁷ დასავლელი იფიციალური პირები, ბუნებრივია, უფრო თავშეკავებული არიან თავიანთ გამოიათქვამები, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ისინიც გამოხატავენ სკეპტიციზმს იმის მიმართ, რამდენად გამართლებულია, გავაგრძელოთ საუბარი საქართველოს პროდასავლურ ორიენტაციაზე.⁴⁸

ჯერჯერობით, ანალიტიკოსთა უმრავლესობა ნაკლებ სავარაუდო მიზნების, რომ „ქართული ოცნება“ გადადგამს ისეთ დრამატულ ნაბიჯს, როგორიც რუსეთის ბანაკში დადასვლაა. უფრო მოსალოდნელია, რომ ის ორმაგ თამაშს გააგრძელებს, ანუ შეინარჩუნებს დეკლარაციულ პრო-დასავლურ ორიენტაციას, მაგრამ შეასამებს მას ზემოთაღწერილ იმ ტენდენციებთან. კერძოდ, „ოცნებამ“ წარმოადგინა ევროკომისის რეკომენდაციების შესრულების გეგმა, რათა ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გახდეს.⁴⁹ პრემიერ-მინისტრ დარიაბაშვილის მიერ სექტემბერში გაეთვალისწინებული განცხადება, რომ ელჩ დეგნანის კრიტიკის შემდგომი „განვრცობა და გადაჭარბება არ შედის ქვეყნის ინტერესებში“ (თუმცა მას არ უარყვავა მანამდე გაკეთებული ბრალდებების შინაარსი) ადასტურებს, რომ „ოცნება“ განაგრძობს ბალანსირებას დასავლური ინტეგრაციის გაცხადებულ კურსსა და რუსეთის გულის მოგების ფაქტობრივ პოლიტიკას შორის.⁵⁰ სექტემბრის შუა რიცხვებში პრემიერ დარიაბაშვილის ვიზიტი გერმანიაში საქართველოს ევროპული ორიენტაციის კიდევ ერთ დემონსტრაციად იქცა.⁵¹

მაგრამ თუ მისი პოლიტიკა მხოლოდ ზედაპირულად შეიცვალა – ხელისუფლება კი ამაზე შორს წასვლის ნებას ჯერჯერობით არ ავლენს, – საეჭვოა, ევროკავშირის შემდეგი გადაწყვეტილება კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით წინანდელზე უკეთესი აღმოჩნდეს. ქვეყანა ჭეშმარიტად ისტორიული შანსის დაკარგვის წინაშე დგას.

3. განსხვავებული დამოკიდებულებები რუსეთ-უკრაინის ომის მიმართ და მათი გავლენა შიდაკოლეიტიკურ სიტუაციაზე

ომის პირველი დღეებიდანვე საქართველოს ხალხის დიდმა უმრავლესობამ უკრაინის მხარდამჭერი პოზიციი გამოხატა. უმრავლესობის აზრით, უკრაინელები საქართველოსთვისაც ომბენ, მათ ამ ოში დამარცხებას საქართველოსთვის სავალალო შედეგები ექნებოდა, ხოლო უკრაინის გამარჯვება, პირიქით, საქართველოს მდგომარეობასაც გააუმჯობესებდა. ეს გამოჩნდა საზოგადოებრივი აზრის კვლევებში,⁵² უკრაინის მხარდამჭერ მასობრივ სახალხო აქციებში,⁵³ ქართველი მებრძოლების უკრაინაში მოხალისებად

გამგზავრებაში,⁵⁴ სხვადასხვა ფორმის ჰუმანიტარულ აქციებში და ა. შ.

მიუხედავად ამისა, საზოგადოება გაყოფილია იმ საკითხები, თუ რა პოზიცია უნდა დაიკავოს ქართულმა სახელმწიფომ ომის მიმართ. ბევრმა მათგანმა, ვინც მყარად უჭერს მხარს უკრაინას, საქართველოს ხელისუფლების პასუხი უკრაინის მხარდასაჭერად არასაგარისად და არათანმიმდევრულად ჩათვალა. ნახსენები აქციები უკრაინის მხარდასაჭერად მაღლევე გადაიზარდა საპროტესტო გამოსვლებში ომის მიმართ ხელისუფლების არაადეკატური პოლიტიკის წინააღმდევ.⁵⁵ სხვები ხელისუფლების თავშეკავებულ მიდგომას გამართლებულად თვლიან.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები ადასტურებს ამ განხეთქილების არსებობას. თუმცა დიდი უმრავლესობა ომზე პასუხისმგებლობას რუსეთის ხელისუფლებას აკისრებს და ომში უკრაინას უჭერს მხარს, ხალხი გაცილებით უფრო მეტადაა გაყოფილი იმაზე, თუ როგორ შეაფასოს საქართველოს ხელისუფლების პასუხი ომზე. ორგანიზაცია CRRRC-ის კლევაში (საველე სამუშაოები 7-10 მარტს ჩატარდა), გამოკითხულთა 61%-მა მიიჩნია, რომ მთავრობა მეტს უნდა აკეთებდეს უკრაინის დასახმარებლად, ხოლო მხარდაჭერის არსებული დონე მხოლოდ 32%-მა ჩათვალა ადექვატურად.⁵⁶ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის და იმავე CRRRC-ის კლევების მონაცემებით (საველე სამუშაოები თებერვალსა და მარტში ჩატარდა), გამოკითხულთა 49% მხარს უჭერს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, არ მიუერთდეს სანქციებს რუსეთის მიმართ, ხოლო 37% საპირისირო აზრზეა. ამ გამოკითხვაში გამოჩნდა, რომ სანქციებზე მიერთებას ძირითადად ქართული ოცნების მომხრეები ეწინააღმდეგებიან, ხოლო ოპოზიციის მომხრეები უფრო მათზე მიერთებას უჭერენ მხარს.⁵⁷ ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გამოკითხვის თანახმად (საველე სამუშაოები – 4-24 მარტი), რესპონდენტთა 53% პროცენტი საკმარისად ან რამდენადმე საკმარისად თვლიდა ხელისუფლების რეაქციას რუსეთის უკრაინაში შეჭრაზე, 44% კი მას არასაგმარისად ან რამდენადმე არასაგმარისად მიიჩნევდა.⁵⁸

ეს მონაცემებიც ადასტურებს, რომ სახელმწიფოს სასურველი პასუხი რუსეთის მხრიდან უკრაინაში შეჭრაზე გაყოფილი ხაზია არა მხოლოდ პოლიტიკური ელიტის, არამედ რიგითო მოქალაქეების დონეზეც. როგორც ჩანს, გარკვეული ნაწილი ადამიანებისა, ვინც ომში უკრაინას უჭერს მხარს, ამავე დროს ეთნოსმება ხელისუფლების შეფასებას, რომ ის ქვეყნის უსაფრთხოებასა და სტაბილობას იცავს ოპოზიციისგან, რომლის მოთხოვნებიც ქვეყნისთვის სარისკო. ეს შედეგი ასევე ეწინააღმდეგება ადრინდელ კვლევებს, რომელთა თანახმადაც ქვეყნაში ნამდვილი პოლიტიკური პოლარიზაცია არ არსებობს, რადგან ხელისუფლებისა და ოპო-

ზიციის მომხრეები მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე განხევავდულ შეხედულებებს არ აკლენენ.⁵⁹ ამ შემთხვევაში ხელისუფლების და ოპოზიციის მომხრეები გაყოფილი არიან სერიოზული პოლიტიკური პრობლემის მიმართ დამოკიდებულების ნიშნით.

სახელმწიფოს სასურველი პასუხი რუსეთის მხრიდან უკრაინაში შეჭრაზე გამოყოფილი ხაზია არა მხოლოდ პოლიტიკური ელიტის, არამედ რიგითი მოქალაქეების დონეზეც.

გარდა იმისა, რომ „ქართული ოცნება“ თავის პოლიტიკას საქართველოს უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვის აუცილებლობით ხსნის, ის თავის კრიტიკოსებს ეროვნული ინტერესების დალატსა და ქვეყნის სტაბილობის შედახვაში ადანაშაულებს. წინა მონაცემთში აღწერილი შეთქმულების თეორია ამ ბრადლებების საფუძლად გამოიყენება: თითქოს არსებობს საიდუმლო შეთანხმება უკრაინის ხელისუფლებასა და საქართველოს ოპოზიციას შორის, რომელიც ქვეყნის ომში ჩათრევას ისახავს მიზნად, ხოლო რაკი „ოცნების“ ხელისუფლება ამას წინ აღუდგება, ოპოზიცია სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსვლას და შემდეგ საქართველოს ომში ჩაბმას გეგმავს. (როგორც ითქვა, მოგვიანებით „ოცნების“ სპიკერებმა შეთქმულების მოთავედ ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგინეს). ამ თეორიის დასადასტურებლად მმართველი პარტია ხაზს უსვამდა კავშირებს უკრაინის ხელისუფლებასა და ქართულ თონზიციას შორის, რაშიც იგულისხმებოდა, რომ ნაციონალური მოძრაობის ზოგი წარმომადგენელი უკრაინის ხელისუფლებაში თანამდებობებს იკავებს.⁶⁰ ოპოზიციის „ომის პარტიად“ მოხსენიება მმართველი პარტიის „მესიჯ-ბოქსის“ სტანდარტულ ნაწილად იქცა. ასე მოიხსენიება არა მხოლოდ ენბ, არამედ ხელისუფლების ყავლა კრიტიკოსი, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სახალხო დამცველიც კი.⁶¹

ოპოზიციის „ომის პარტიად“ მოხსენიება მმართველი პარტიის „მესიჯ-ბოქსის“ სტანდარტულ ნაწილად იქცა.

მეორეს მხრივ, ხელისუფლების მხრიდან უკრაინის მხოლოდ ნელთბილმა მხარდაჭერამ და მისმა სულ უფრო მტრულმა დამოკიდებულებამ დასავლების მიმართ კიდევ უფრო მეტი ადამიანი დაარწმუნა, რომ ხელისუფლება რუსეთის გულის მოგებაზე ორიენტირებული და მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებს დასავლური ინტეგრაციის ერთგულებას. სხვა ფაქტორებთან ერთად, ამას ხშირად ხსნიან ბიძინა ივანიშვილის კავშირით რუსეთის ბიზნესთან. ეს უკანასკნელი მოსაზრება გააძლიერა აუდიო-ჩანაწერის გამოქვეყნებამ, სადაც ბიძინა ივანიშვილი, სავარაუდო, პუტინთან დაახლოებულ და სანქციების ქვეშ მოყოლილ რუს ბიზნესმენს, კლადიმირ ევტუშენკოვს ესაუბრება. ჩანაწერში ევტუშენკოვის თხოვების ივანიშვილს, რომ მის წარგზავნილ პირს მიმართ დამართვებული პოლიტიკური პოლარიზაცია არ არსებობს, რადგან ხელისუფლებისა და ოპო-

თავად შეხვდეს და არა პრემიერ-მინისტრ დარიბაშვილთან გადამისამართოს, რადგან მას ბიზნესთან დაკავშირდებული ძალიან სერიოზული საკონტაქტო განსახილველი.⁶² ეპტუშენგოვა-მა შემდეგ ზარის ავთენტურობა დაადასტურა,⁶³ ხოლო „ოცნების“ ზოგმა მედია-მხარდამშერმა ეს ეპაზოდი თავის შეთქმულების თეორიაში ჩართო იმის თქმით, რომ ეპტუშენგოვს ივანიშვილთან ამერიკელებმა დაარეკინეს მისი დისკრედიტაციის მიზნით.⁶⁴

მაგრამ ერთია, ხელისუფლების ქმედებებს მიუღებელი ან თუნდაც მოღალატეობრივი უწოდო, და მეორეა, განსაზღვრო, როგორი უნდა იყოს ამაზე ოპოზიციის და უფრო ფართო საზოგადოების პასუხი. ყველაზე ბუნებრივი რეაქცია ქუჩის პროტესტია. ომის დაწყების შემდეგ თბილისში სახალხო პროტესტების ორი სერია ჩატარდა. პირველ შემთხვევაში, თებერვლის ბოლოს, ადამიანები გამოხატავდნენ როგორც უკრაინასთან სოლიდარობას, ისე უკმაყოფილებას ხელისუფლების მხრიდან უკრაინისადმი უკმარისი მხარდაჭერის გამო. იგნისის ბოლოს და ივლისის დასაწყისში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლიობაში მოძრაობა „სირცხვილიას“ ხელმძღვანელობით ჩატარა რამდენიმე დიდი აქცია ლოზუნგით „შინ ევროპისეგნ“. პირველ მათგანს, 20 ივნისს, უნდა გამოხატა ქართველების მხრიდან ქვეყნის ევროპული მომავლის მხარდაჭერა ევროკავშირის საბჭოს მოსალოდნელი გადაწყვეტილების წინ.⁶⁵ მაგრამ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ საქართველო, უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით, კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებდა, როგორც ოპოზიციამ, ისე სამოქალაქო საზოგადოებამ ამის გამო პასუხისმგებლობა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას დააკისრა; გაისმა ბრალდებები, რომ მან შეგნებულად მოახდინა ევროკავშირის წევრობის საკუთარი განაცხადის საბოლოური რუსეთის გულის მოსაგებად.⁶⁶ ამას მოყვა კიდევ ორი მიტინგი, რომელთა მოთხოვნა იყო ხელისუფლების გადადგომა და მისი ჩანაცვლება ტექნიკური მთავრობით, რომელიც ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე იმოქმედებდა.⁶⁷ ყველა ეს აქცია საქართველოს მასშტაბისოვის მეტად დიდი იყო, მონაწილეობა რაოდენობა, ყველაზე თევშეკავებული შეფასებებით, ბევრად სცდებოდა 50 ათასს (შესაძლოა, 100 ათასსაც). მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ მოპროტესტობა მოთხოვნების იგნორირება მოახდინა, ხოლო ორგანიზატორები აღარ შეეცადნენ აქციების გაგრძელებას, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ვერ შეძლებდნენ მუხტის შენარჩუნებას მანამ, სანამ ხელისუფლება იძულებული გახდებოდა, მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო.⁶⁸

ამ მოვლენებმა აჩვენა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები (ამ შემთხვევაში ამ ტერმინს

ფართო აზრით ვიხმარ, რომელიც ოპოზიციურ პარტიებსაც მოიცავს). შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხენებულ საპროტესტო აქციებს რეალური გავლენა ჰქონდა იმ აზრით, რომ მათ საშუალება არ მისცეს ხელისუფლებას, უარი ეთქა ევრონტეგრაციის კურსის მიმართ თუნდაც დეპლარაციულ და ზედაპირულ ერთგულებაზე. გარდა ამისა, მიუხედავად უკრაინის ხელისუფლების მიმართ ცალსახად მტრული დამოკიდებულებისა და დასავლეთის ანტი-ქართულ შეთქმულებაში დადანაშაულებისა, ხელისუფლება მაიც ვალდებულად მიიჩნევს თავს, პერიოდულად უკრაინის მხარდამჭერი ნაბიჯები გადადგას და ევრონტეგრაციის კურსის ერთგულება გამოავლინოს. ბევრის აზრით, მან საზოგადოების ზეწოლით შეიტანა ევროკავშირის წევრობის განაცხადი, თუმცა ამის სურვილი არ ჰქონია.⁶⁹ ცხადია, ამ ვარაუდის ცალსახა დადასტურება ძნელია, მაგრამ ხელისუფლების ზოგადი პოლიტიკის აშკარა წინააღმდეგობა ევრონტეგრაციის კურსთან მას დამაჯერებლობას მატებს.

ეს ვარაუდი ირიბად დაადასტურა „ქართული ოცნებიდან“ გამოსულმა ჯგუფმა, რომელიც, გავრცელებული აზრით, ივანიშვილის რეალურ მოსაზრებებს შეიძლება გამოხატავდეს. მათი მტკიცებით, საერთაშორისო დემოკრატიულმა თანამეგობრობამ და ქართულმა ოპოზიციამ ხელისუფლება „სათავგურში“ მოაქციეს, ანუ ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, როდესაც ის იძულებული გახდა, ევროკავშირში განაცხადი შეეტანა. წარმოსახული სცენარი იმაში მდგომარეობდა, რომ კანდიდატის სტატუსის არმინიჭებას მოყვებოდა ხელისუფლების დამხობა და მისი ჩანაცვლება ოპოზიციით, რომელიც შემდგომ საქართველოს ოში ჩართავდა.⁷⁰ რაც არ უნდა აბსურდული იყოს ეს თეორია, ის ადასტურებს, რომ „ქართული ოცნება“ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანას მისი ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევდა, მაგრამ საზოგადოებრივმა ზეწოლამ სხვა გზა არ დაუტოვა.

მეორეს მხრივ, ჯერჯერობით სამოქალაქო საზოგადოებამ ვერ გამოიჩინა სათანადო ძალა, რათა ხელისუფლება ეიძულებინა, თავისი პოლიტიკა არსებოთად შეეცვალა და დემოკრატიის უკანადახევის ტენდენცია შეექცია. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ, თუმცა ის ერთიანია „ქართული ოცნების“ მიმართ დამოკიდებულებაში, კრიტიკული სამოქალაქო საზოგადოება რამდენიმე თვალსაზრისითაბ გაყოფილი. ერთ-ერთია გამიჯვნა სამოქალაქო საპროტესტო მოძრაობებსა და პოლიტიკურ ოპოზიციას შორის. ხენებული საპროტესტო აქციების ორგანიზატორები გაემიჯნენ ოპოზიციის ლიდერებს, რადგან თვლიდნენ, რომ თუ პროტესტი ოპოზიციასთან იქნებოდა ასოცირებული, მასში ნაკლები ხალხი მიიღებდა მონაწილეობას.

გარდა ამისა, როგორც პოლიტიკური ოპოზიცია, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გაყოფილები არიან საკითხზე, უნდა ითანამშრომლონ თუ არა „ოცნების“ ხელისუფლებასთან ევროკომისის რეკომენდაციების შესრულების საკითხებზე. თანამშრომლობის მომხრეები თვლიან, რომ პოზიტიური ნაბიჯების თუნდაც მცირე შანსი უნდა გამოიყენონ, მით უმტეს, რომ თავად ეპროგავშირი საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს და სამოქალაქო საზოგადოებას სწორედ ასეთი ქცევისკენ მოუწოდებს.⁷¹

მოწინააღმდეგების აზრით, „ოცნების“ ხელისუფლებას სურს, მოჩვენებით ნაბიჯები გადადგას იმის სადემონსტრაციოდ, რომ რეკომენდაციებს სერიოზულად ეკიდება, თუმცა რეალურად მათ შესრულებას არ აძირებს, რადგან ეს მისი პოლიტიკის რადიგალურ შეცვლას ნიშნავს. ამ პროცესებში ჩართვით ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება შედეგზე რეალურ გავლენას ვერ მოახდენს, სამაგიეროდ მმართველ პარტიას ინკლუზიური პროცესის იღუშიის შექმნაში დაეხმარება. „ქართულმა ოცნებამ“ დამატებითი არგუმენტები შესძინა ამ უკანასწერილი მოსაზრების მომხრეებს, როდესაც თავად თქვა უარი, საარჩევნო რეფორმის საკითხებზე ეთანამშრომლა წამყვან სადამკვირვებლო ორგანიზაციასთან, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან, რადან ეს უკანასკნელი „პოლიტიკურად ნეიტრალურად“ არ მიიჩნია. ამის საპასუხოდ, რამდენიმე წამყვანია სამოქალაქო ორგანიზაცია ამ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე ასევე თქვა უარი.⁷²

რადიკალური პოზიცია გარკვეულად გააძლიერა ევროკავშირის მხრიდან „დეოლიგარქიზაციის“ რეკომენდაციამ. რაკი საქართველოში ტერმინი „ოლიგარქი“ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მიმართ იხმარება, სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა ეს რეკომენდაცია გაიგო, როგორც მინიშნება, რომ კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლაა საჭირო. ევროკავშირს არ გაუკეთება შემდგომი განმარტება, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს „დეოლიგარქიზაციაში“, თუმცა, როგორც თქვა, ის ოპოზიციას ხელისუფლებასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებს, რაც დეოლიგარქიზაციის რეკომენდაციას გარკვეულად ეწინააღმდეგება. თავის მხრივ, მმართველი პარტიის ხელმძღვანელობა გადაჭრით აცხადებს, რომ ეს ტერმინი არ შეიძლება ბიძინა ივანიშვილს ეხებოდეს და, სინამდვილეში, ოპოზიციის ლიდერებს და ფინანსურ მხარდამჭერებს მიემართება.⁷³

არსებული პრინციპული განხეთქილებების ფონზე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ოპოზიცია, მის ახლანდელ მდგომარეობაში, უფრო სუსტია, ვიდრე ოდესე „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში. ეს არ შეიძლება მხოლოდ ხელისუფლების გაზრდილი ზეწოლით აიხსნას. როგორც

ზემოთ ნახსენები საჯარო აქციების მასშტაბმა დაგვანახა, ხელისუფლების ქმედებებით უკმაყოფილების დონე საქმაოდ მაღალია. ამას გამოკითხებიც ადასტურებს: 2022 წლის აგვისტოში გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ხელისუფლების საქმიანობას აფასებდა, როგორც „ცუდს“⁷⁴ მაგრამ ოპოზიციამ და სამოქალაქო საზოგადოებამ ვერ ჩამოაყალიბეს გამოკვეთილი ხედვა, თუ როგორ უნდა მიიღწეს არსებითი ცვლილებები.

როგორც პოლიტიკური ოპოზიცია, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გაყოფილები არიან საკითხზე, უნდა ითანამშრომლონ თუ არა „ოცნების“ ხელისუფლებასთან ევროკომისის რეკომენდაციების შესრულების საკითხებზე.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ყველაზე ბუნებრივი ორიენტირია ცვლილების მისაღწევად. მაგრამ ოპოზიციის გავლენიანი ნაწილი კვლავ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნაზე კონცენტრირებული,⁷⁵ თუმცა უკვე არაერთხელ გახდა ცხადი, რომ ოპოზიციურ პარტიებს და მოძრაობებს არა აქვთ რესურსი, რომ ამ მიზნით მისაღწევად საჭირო მობილიზაცია მოახდინონ. ეს აღრმავებს დაბნეულობას საზოგადოების ნაწილში, რომელსაც ცვლილებები სურს. შედეგად, გამოკითხულთა 56% ვერ ხედავს პარტიას, რომელიც მის ინტერესებს გამოხატავს.⁷⁶

ენმ, ყველაზე დიდი და პოპულარული ოპოზიციური პარტია, ლიდერობის კრიზისის ფაზაშია. ამის სავარაუდო მიზეზია პარტიის დამფუძნებლის და ისტორიულად გამაერთოანებელი ფიგურის, მიხეილ სააკაშვილის გაურკვეველი სტატუსი. 2022 წლის ზაფხულში, ციხეში ყოფნისას, ის გაცილებით ნაკლებ მიმართავს ქართულ საზოგადოებას. მეტიც, მან, თავისი იურისტების პირით, მიანიშნა, რომ მთლიანად ფოკუსირებულია უკრაინის მოვლენებზე და ქართული პოლიტიკა აღარ აანტერესებს.⁷⁷ ბევრის აზრით, ეს მხოლოდ დროებითი ტაქტიკური ნაბიჯია. მავე დროს, პარტიის ერთგულ მომხრეთა ნაწილი არ ენდობა სხვა ლიდერებს და მათ სოციალურ ქსელებში ღიად უტევს. ამის ფონზე, პარტიის ხელმძღვანელობა მეტად პასიური გახდა. ეს ოპოზიციის ფლანგზე ლიდერობის ვაკუუმს ქმნის; რომელიმე სხვა პოლიტიკურ პარტიას ან საზოგადოებრივ მოძრაობას არ უცდია, ლიდერის პოზიცია თავის თავზე აეღო და საზოგადოებისთვის ქმედითი სტრატეგია შეეთავაზებინა.

ყოველივე ეს ადამიანთა იმ ნაწილს, ვინც დემოკრატიის განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის საკითხებს პრიორიტეტს ანიჭებს, ჩიხში ყოფნის განცდას უქმნის. თუმცა ხელისუფლება ინარჩუნებს დეკლარაციულ ერთგულებას ევროინტეგრაციის სტრატეგიის მიმართ, ნაკლებ მოსალოდნელია, მისი მმართველობის პერიოდში ქვეყნამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მოიპოვოს. ეს

ისტორიული შანსის დაკარგვას ნიშნავს, რადგან შესაძლობლობის ფანჯარა განუსაზღვრელი ვადით ლია არ დარჩება.

ქართულ საზოგადოებაში არსებობს მოლოდინები, რომ რუსეთის აგრესის შედეგმა – თუ ის მისი მარცხით დამთავრდება – შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს საქართველოს შიდა პოლიტიკაზე, გერმოდ, „ქართული ოცნება“ სერიოზულად დაასუსტოს. ეს გათვლები მთლად უსაფუძვლო არ არის. დიდი ალბათობით, „ოცნების“ პასუხი მშე ნაკარნახევი იყო მოღოლინით, რომ რუსეთი უკრაინაზე გადამწყვეტ გამარჯვებას მოიპოვებდა. თუ ომის შედეგი საპირისპირო აღმოჩნდა, „ოცნების“ ნარატივი არსებითად გაყალბდება; მისი ანტიდასავლური კამპანია მისი მომხრეების თვალშიც მცდარი გამოჩნდება. თუ ყველაფერი ასე მოხდა, პოლიტიკური მხარდაჭერის ბალანსი შეიძლება ოპოზიციის სასარგებლოდ გადაიხარის. მაგრამ თუნდაც ასეთი გათვლა სწორი იყოს, ეს შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს საკმარისი არსებითი ცვლილებების მისაღწევად. ოპოზიციას ნებისმიერ შემთხვევაში ბევრი მუშაობა დასჭირდება საიმისოდ, რომ ქმედუნარიანობა აჩვენოს და საკუთარ მომხრეებს და ქვეყანას ქმედითი სტრატეგია შესთავაზოს.

ტივისტების და საერთაშორისო დამკვირვებლების ლეგიტიმურ კრიტიკას იმსახურებს. განმდა ახალი არგუმენტები იმ აზრის სასარგებლოდ, რომ მისი მხარდაჭერა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პოლიტიკის მიმართ მხოლოდ დეკლარაციულია, სინამდვილეში კი ის ქვეყანას ამ გზას თანმიმდევრულად აშორებს.

ამ უკანასკნელი ტენდენციის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებად იქცა შეოქმულების თეორია, რომლის თანახმადაც დასავლეთი, უკრაინის ხელისუფლება და საქართველოს ოპოზიცია ერთობლივად ცდილობენ საქართველოს ოში ჩათრევას და/ან სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას. თუმცა ამ თეორიის მტკიცებულება არავის მოუყვანია, ის სახელისუფლებო პროპაგანდის ღერძად იქცა. შესაბამისად, ხელისუფლება თავის ნებისმიერ კრიტიკოსს (არა მხოლოდ პოლიტიკური ოპოზიციანი) „ომის პარტიის“ წარმომადგენლად აცხადებს.

ამგვარი პოზიცია ლოგიკურად შეუსაბამოს ხდის ხელისუფლების გაცხადებულ ერთგულებას ევროინტეგრაციის კურსის მიმართ. ისეთი ნაბიჯები, როგორიცაა ევროკავშირის წევრობის განაცხადის შეტანა და, შეძლებ, ევროკომისიის რეკომენდაციის შესასრულებლად მზაობის გამოცხადება ამოვარდნილია მიმდინარე პოლიტიკური პროცესის ლოგიკიდან. ევროინტეგრაციის მიმართულებით რეალური გარღვევის შანსის გაჩენამ არა მარტო სტიმული არ მისცა ახალ ნაბიჯებს დემოკრატიზაციის მიმართულებით, არამედ კიდევ უფრო გამავართო ხელისუფლების ისედაც კონფრონტაციული დამოკიდებულება ოპოზიციის, სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედიის მიმართ. არა გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ევროკავშირის რეკომენდაციებზე მუშაობის პროცესი ინკლუზიური იქნება და ტოქსიკური პოლარიზაციის ხარისხს შეამცირებს.

რისი გაკეთებაა შესაძლებელი ამ უაღრესად არახელსაყრელ ვითარებაში, როდესაც პოზიტიური ტენდენციების განვითარებას პირი არ უჩანს?

ხელისუფლების ზოგადი განვითარება და პოლიტიკა როგორც ხდის მის მიმართ ისეთი რეკომენდაციების შეტანების დემოკრატიზაციის და ევროინტეგრაციის სფეროში, რაც რეალისტურად შეიძლება განვიხილოთ. მაინც ჩამოვაყალიბებოთ, რა პირველი რიგის ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ, თუ მას ამ მიმართულებით პროგრესის მიღწევის ნება აღმოაჩნდა. პირველ რიგში, ესაა:

- დამოკრატიის სფეროში სირდმისეული სტრუქტურული გამოწვევების აღიარება,
- ოპოზიციის დამონიზაციაზე უარის ოქმა და მისი ლეგიტიმურ პოლიტიკურ მოთამაშედ მიჩნევა,
- სამოქალაქო საზოგადოებასთან და მედიასთან (მათი კრიტიკულობის დონის მიუხედავად) აქტივური დალოგის და თანამშრომლობის დაწყება,

4. დასკვნები და რეკომენდაციები

რუსეთის აგრესის უკრაინის მიმართ საქართველოს შიდაპოლიტიკურ ვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოუწვევია, მაგრამ მან ახალი განწომილება შესძინა დემოკრატიული ინსტიტუტების ხანგრძლივ კრიზისს, რომელშიც საქართველო ბოლო სულ მცირე ორი წლის განმავლობაში იმყოფება.

კრიზისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილებაა ის, რომ როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიციის უდიდესი ნაწილი ეჭვის ქვეშ აყენებს ერთმანეთის ლეგიტიმურობას. ამ ფონზე ეჭვის ქვეს დგება ისეთი საკანონო დემოკრატიული ინსტიტუტების ლეგიტიმურობას, როგორიცაა პარლამენტი, სასამართლო, სახალხო დამცველი და სხვა. ომბა ორივე მსარეს ახალი არგუმენტები შესძინა ერთმანეთის ლეგიტიმურობის უარსა-ფოფად და კიდევ უფრო გაართულა მათ შორის საერთო ენის გამონახება.

თუმცა ხელისუფლება ზოგადად გამოხატავს ოში უკრაინის მხარდაჭერას, მისი რიტორიკა და ქმედებები ართანმიდევრულია, რის გმოც არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ ექსპერტების, სამოქალაქო აქ-

- პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება, რაც ნდობის აღდგენისკენ გადადგმული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

მხოლოდ ამის ფონზე ეძლევა აზრი საგნობრივ საუბარს თანამშრომლობაზე ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად ან ნებისმიერ სხვა ნაბიჯზე, რაც დემოკრატიული ინსტიტუტების კრიზისიდან გამოყვანას ისახავს მიზნად.

პოლიტიკურ ოპოზიციას გადასაღახი აქვს საკუთარი კრიზისი, რაც, პირველ რიგში, ახლო წარსულში სხლისუფლების სწრაფად შეცვლის არარეალისტური მოლოდინების შექმნამ და შემდგომმა გარდუვალმა იმედგაცრუებამ გამოიწვია. პირველ რიგში,

- მან თავი უნდა შეიკავოს იმპულსური ნაბიჯებისგან და ხელი აიღოს ასალი არარეალისტური მოლოდინების შექმნისგან.

- ის არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ნებატიური რიტორიკით და კონცენტრირდეს გრძელვადიანი სტრატეგიის, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის კონკრეტული ხედვის შემუშავებაზე.
- სხვადასხვა ოპოზიციურმა პარტიამ საზოგადოებას უნდა აჩვენოს მათ შორის თანამშრომლობის ნება.
- მან სისტემური სახე უნდა მისცეს ქართული საზოგადოების სხვადასხვა ნაწილთან კონსულტაციებს.
- ითანამშრომლოს დასავლელ პარტნიორებთან, ოღონდ არ შექმნას იღუზია, რომ გარე მოთამაშები არსებით გავლენას მოახდენებს საქართველოს შიდა პრობლემების გადაწყვეტაზე.
- გრძელვადიან სტრატეგიაზე ორიენტაცია შეახამოს ტაქტიკურ მოქნილობასთან და ბრძოლის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებასთან ცვალებადი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე.

შენიშვნები

- ამ პერიოდის უფრო დაწვრილებითი შეფასება იხ. ჩვენს პოლიტიკის ნარკევეში „კრიზისი როგორც ახალი ნორმა: რა შეიძლება ვისტავლოთ როგორი წლის გამოწვევებიდან“, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, იანვარი 2022, <https://www.cipdd.org/upload/files/krizisi%20Georgia.pdf>.
- „ძობახიძე: საქართველოში არსებობენ ოპოზიციასთან დაკავშირებული NGO-ები, იგივე ‘ოპონგოები’“ – ტაბულა 22.04.2022, 12.03.2019, <https://tabula.ge/ge/news/621198-kobakhidze-sakartveloshi-arcebaben-opozitsiastan>.
- „სახალხო დამცველი აქციეს „ნაცომდრაობის“ რიგით აქტივისტად – კობახიძე“ – პუბლიკა 25.10.2021, <https://publika.ge/2503-2/>.
- „პარლამენტმა ინსპექტორის სამსახურის გაუქმებას მხარი სამივე მოსმენით დაუჭირა“, Civil.ge, 30.12.2021, <https://civil.ge/ka/archives/465267>.
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „5-6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება“, თბილისი 2021, [https://gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/GetFileAttachment-4.pdf](https://gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/5-6%20%E1%83%98%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/GetFileAttachment-4.pdf).
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „მართლმსაჯელების რეფორმის სისტემა საქართველოში. 2013-21 წლები“, თბილისი 2021, <https://gyla.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99/2021/GetFileAttachment-4.pdf>.
- მაგალითად, ურნალ „ეკონომისტების“ 2021 წლის „დემოკრატიის ინდექსში“ საქართველომ 5.21 ქულით 91-ე ადგილი დაიკავა (<https://media2-col.corriereobjects.it/pdf/2022/esteri/eiu-democracy-index-2021.pdf>), მაშინ როდესაც 2017 წლის შეფასებით მას 5.93 ქულა და 79-ე ადგილი ეკავა; იმავე წლებში ამერიკული „ფრიდომ ჰაუსის“ შეფასება 64-დან 58 ქულამდე ჩამოვიდა (<https://freedomhouse.org/countries/freedom-world/scores>).
- NDI და CRRC, „საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2022 წლის აგვისტოში ჩატარებული პირისპირ გმოკომხების შედეგები“.
- Michael Emerson and Tamara Kovziridze, eds., *Deepening EU-Georgia Relations: What, Why and How* (London: Rowman and Littlefield, 2016).
- “ივანშვილი საქართველოში აშშ-ის ინსტიტუტებისადმი ნდობის დაკარგვაზე საუბრობს”, 28.11.2019, <https://civil.ge/ka/archives/329547>; „ქართული ოცნება უზენაესის მოსამართლეთა დანიშვნებზე საერთაშორისო რეაქციებთ, „გავირვებულია“ Civil.ge 16.07.21, <https://civil.ge/ka/archives/432614>; „კობახიძე: EPP კრიმინალური პარტიების ევროპული გაერთიანება“, ტაბულა, 15.06.2022, <https://tabula.ge/ge/news/687671-kobakhidze-epp-kriminaluri-partiebis-evropuli>.

- ¹¹ Georgi Gotev, “Ruling party in Georgia dumps Charles Michel’s agreement”, Euractiv.com 29.07.2021, <https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/ruling-party-in-georgia-dumps-charles-michels-agreement/>.
- ¹² „ფინანსთა მინისტრის მოადგილე: იყო რასკი, რომ EU-ს დაბმარება ისედაც არ ჩამოირიცხებოდა”, JAMnews 13.10.2021, <https://jam-news.net/ge/finansta-ministris-moadgile-ijo-riski-rom-eu-s-dakhmareba-iscedac-ar-chamoirickheboda/?fbclid=IwAR18YbB-sS6bVi45bqPowIKZF1yF3joIPL6VBtd-L6L8gcMe9y89xoOBo7Y>.
- ¹³ „ევროკავშირის ელჩი საქართველოში პარცელი: ევროპაში საქართველოს ბევრი მუნიციპალიტეტის კითხვას – სად მიღის საქართველო“, ტაბულა 09.02.2022, <https://tabula.ge/ge/news/679924-hartseli-evropashi-sakartvelos-bevri-megobari>.
- ¹⁴ „საქართველომ, უძრაინამ და მოლდოვამ ევროინტეგრაციის საკითხებზე „ასოცირებული ტრიის“ ფორმატი შექმნება“, Civil.ge, 11.05.2021, <https://civil.ge/ka/archives/420275>.
- ¹⁵ „Ukraine’s EU bid receives warm welcome in Brussels“, Emerging Europe, 28.02.2022, <https://emerging-europe.com/news/ukraines-eu-bid-receives-warm-welcome-in-brussels/>.
- ¹⁶ „ირაკლი გობახიძის თქმით, საქართველო ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს 2024 წლამდე არ წარადგენს“, Civil.ge, 01.03.2022, <https://civil.ge/ka/archives/476471>.
- ¹⁷ „საქართველოს პრემიერი ხელს აწერს ევროკავშირში წევრობის განაცხადს“, Civil.ge, 03.03.2022, <https://civil.ge/ka/archives/477269>.
- ¹⁸ „Georgia, Moldova follow Ukraine in applying to join EU”, Politico, 03.03.2022, <https://www.politico.eu/article/georgia-and-moldova-apply-for-eu-membership/>.
- ¹⁹ Alexandra Brzozowski, „Ukraine, Moldova should get EU candidate status, Georgia might need to wait, EU executive says“, Euractiv.com, 17.06.2022; <https://www.euractiv.com/section/enlargement/news/ukraine-moldova-should-get-eu-candidate-status-georgia-might-need-to-wait-eu-executive-says/>; “EU denies Georgia candidate status”, OC Media, 24.06.2022, <https://oc-media.org/eu-denies-georgia-candidate-status/>.
- ²⁰ „ევროკომისის მოხსენებით ბარათი: რეკომენდაციები საქართველოსთვის“, Civil.ge, 17.06.2022, <https://civil.ge/ka/archives/496671>.
- ²¹ ლელა გურჯელია, „12 პუნქტის შესასრულებლად ევროკომისია საქართველოს ვადას უგრძელებს – რას ნიშნავს ეს?“, რადიო თავისუფლება 13.07.2022, <https://www.radiotavisupleba.ge/a/31941995.html>.
- ²² „ერთადერთი, რასაც ვერ შეაცვლიო, გეოგრაფიად და ამაზე აქცენტი სამწუხაროა – კობახიძე მაკრინის განცხადებაზე“, პუბლიკა, 17.06.2022, <https://publika.ge/ertaderti-rasac-ver-shevclit-geografiaa-da-amaze-aqcenci-samwukharoa-kobakhidze-makronis-ganckhadebaze/>.
- ²³ Clea Caulcatt, “Macron wants ‘clear and positive’ signal on EU candidacy for Ukraine, Moldova”, Politico, 15.06.2022, <https://www.politico.eu/article/macron-hint-ukraine-visit-before-eu-summit-next-week/>.
- ²⁴ იხ. ზემოთ სქრლით 8.
- ²⁵ „Georgia: EU Association report 2022: Some progress, but further reforms needed”, Portal EU-Monitoring 13.08.2022, https://portal.ieu-monitoring.com/editorial/georgia-eu-association-agreement-report-2022-some-progress-but-further-reforms-needed/385014?utm_source=ieu-portal.
- ²⁶ „სასამართლომ ნიკა გვარამიას 3.5 წლით პატიმრობა მიუსაჯა“, Civil.ge, 16.05.2022, <https://civil.ge/ka/archives/490298>.
- ²⁷ საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „ნიკა გვარამიას ბრალდების სასხლის სამართლის საქმის შეფასება“, 02.04.2022, <https://transparency.ge/ge/post/nika-gvaramias-braldebis-sisxlis-samartlis-sakmis-shepaseba>; <https://transparency.ge/en/post/analysis-criminal-case-prosecution-nika-gvaramia>; Amnesty International, *Georgia: Sentencing of pro-opposition media owner Nika Gvaramia a political motivated silencing of dissenting voice*, 17.05.2022, <https://www.amnesty.org/en/latest/news/2022/05/georgia-sentencing-of-pro-opposition-media-owner-nika-gvaramia-a-political-motivated-silencing-of-s-dissenting-voice/>.
- ²⁸ ნათა ცქიურიშვილი, „’ოცნება’ შეგნებულად უშდის ხელს საქართველოს კანდიდატის სტატუსის მიღებას – კუბილიუსი“, ნეტგაზეთი 19.05.2022), <https://netgazeti.ge/opinion/611403/>; „პაატა ზაქარეიშვილი – ‘ქართული ოცნება’ ყველაფერს გააკეთებს, რომ ევროკავშირში არ მოხვდეთ, მაგრამ ილაპარაკებენ, რომ ევროკავშირში მივდივართ“, FrontNews Georgia, 23.06.22, <https://frontnews.ge/ge/news/details/26964>.
- ²⁹ „კობახიძე: დემოკრატიის ხარისხი მაღალ დონეზეა აყვანილი, სამწუხაროდ, ეპონომიკა ვერ ეწევა“, ტაბულა, 22.04.2022, <https://tabula.ge/ge/news/684742-kobakhidze-demokratiis-khariskhi-maghal-donezea>.
- ³⁰ „საქართველომ მხარი დაუჭირა გაეროს რეზოლუციას, რომელიც რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმას გმობს“, Civil.ge 03.03.2022, <https://civil.ge/ka/archives/477192>.
- ³¹ ნინო ნარიანიშვილი, „საქართველო და სანქციები რესეთის წინააღმდევ – რატომ ასოცირდება ქვეყანა ‘შავხერელთან’?“ – JAMnews, 01.06.2022, <https://jam-news.net/ge/politkuri-neba-ar-arsebobs-sheuerda-tu-ara-saqarvelo-rusetis-winaaghmdeg-dawesebul-sanqciebs/>.
- ³² „ირაკლი გობახიძე – მოხალისეების გაგზავნა უკრაინაში ქვეყნის მიერ, სამხედრო კონფლიქტში პირდაპირ ჩართვას ნიშნავს – ამას ჩვენ არ გავაკეთობთ“, ინტერპრეტერების 01.03.2022, <https://www.interpressnews.ge/ka/article/698262-irakli-kobaxize-moxaliseebis-gagzavna-ukrainashi-kveqnis-mier-samxedro-konpliktshi-pirdapir-chartvas-nishnavs-amas-chven-ar-gavaketebt>.
- ³³ „დავა ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის პრეზიდენტ ზელენსკის საპარლამენტო მიმართვაზე“, Civil.ge, 18.02.2022, <https://civil.ge/ka/archives/480230>.

- ³⁴ “ირაკლი დარიაბაშვილი: უკრაინამ ომი ვერ აიცილა. საქართველო სანქციებს არ უერთდება”, *JAMnews*, 25.02.2022, <https://jam-news.net/ge/irakli-gharibashvili/>; ნინო ჩიჩუა, „გვიკიფინებენ, ოშია ჩავერთოთ და სანქციები დაუწეულოთ რუსეთს – დარიაბაშვილი”, ნეტგაზეთი, 28.02.2022, <https://netgazeti.ge/life/595267/>.
- ³⁵ “დანილოვი საქართველოზე: რუსეთისთვის მეორე ფრონტის გახსნა უკრაინას დაეხმარება”, *Metronome.ge* 27.03.2022, <https://metronome.ge/story/401692>.
- ³⁶ “კობახიძე: ენდ-ის ვიზიტის შემდეგ უკრაინამ დაიწყო საუბარი ომის საქართველოში გადმოტანაზე”, ფორმულა 28.03.2022, <https://formulanews.ge/News/67483>.
- ³⁷ „სამთავრობო პროპაგანდისტი ამბობს, რომ აშშ ივანიშვილს ოშია ჩათრევას აიძულებს“, ტაბულა 10.05.2022, <https://tabula.ge/ge/news/685845-samtavrobo-propagandisti-ambobs-rom-ashsh>.
- ³⁸ „ივანიშვილის შევიცარიულ ბანკთან დავის ფონზე, ‘ოცნება’ მიანიშნებს, რომ აშშ საქართველოს ომისკენ უბიძებს“ *Civil.ge*, 11.05.2022, <https://civil.ge/ka/archives/489858>; ლელა კუნტულია, „ფული, ომი და პოლიტიკა – ვის და რატომ ბრალდება ივანიშვილის ტრანზაქციის შეფერხება?“ რადიო თავისუფლება, 11.05.2022, <https://www.radiotavisupleba.ge/a/31845074.html>.
- ³⁹ “ირაკლი კობახიძე: ჩვენ თუ ჩავერთვებოდით ოშია, აპრიორი, მოგვენიჭებოდა კანდიდატის სტატუსი”, იმედინი 14.07.2022, <https://imedinews.ge/ge/politika/257244/irakli-kobakhidze-chven-tu-chavertvebodit-oms-hi-apriori-mogvenicheboda-kandidatis-statusi-magram-aq-kitkhva-unda-daisvas--gvigirda-tu-ara>.
- ⁴⁰ “‘ოცნებიდან’ წასულები: ევროკავშირის კანდიდატობის თემით მთავრობამ თავი „სათაგურში“ შევი“, *Civil.ge* 29.06.2022, <https://civil.ge/ka/archives/498704>.
- ⁴¹ „ქართული ოცნებიდან წასულები ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას აფუძნებენ“, *Civil.ge* 28.07.2022, <https://civil.ge/ka/archives/502386>.
- ⁴² “‘ბიძინა ივანიშვილი – გარკვეული დაღები საქართველოს ოშია ჩათრევას აქტიურად ცდილობდნენ...’”, ინტერდენისიუსი 27.02.2022, <https://www.interpressnews.ge/ka/article/720834-bizina-ivanishvili-garkveuli-zalebi-sakartvelos-omshi-chatrevas-aktiurad-cdilobdn-en-da-es-mizani-dgesac-aktualuria-mmartvelma-gundma-scorad-imushava-da-omis-saprtxis-pirveli-etapi-gadalaxa/>.
- ⁴³ “კელი დევგანი ივანიშვილთან შეხვედრას ადასტურებს: ‘არასოდეს ყოფილა საუბარი საქართველოს ოშია ჩართვაზე’”, *JAMnews*, 28.07.2022, <https://jam-news.net/ge/keli-degnani-ivanishviltan-shekhvedras-adasturebs/?fbclid=IwAR1-MemRLO86jQMyO49NHBlbOQ2sYwyGmDUIzZTSjeiQEowAj4dyVIL22Ew>.
- ⁴⁴ “პარლამენტის წევრების სოზარ სუბარის, დიმიტრი ხენდაძის, მიხეილ ჭაველაშვილის და გურამ მაჭარაშვილის განცხადება”, 16.08.2022, <https://parliament.ge/media/news/parlamentis-tsevrebis-sozar-subaris-dimitri-khundadzis-mikheil-qavelashvilis-da-guram-macharashvilis-gantskhadeba-1>.
- ⁴⁵ “ჰაბუშვილი ივანიშვილის თოხეულზე: დაგმობას არ ვაპირებ, გუნდის მნიშვნელოვანი წევრები იყვნენ”, ტაბულა 09.09.2022, <https://tabula.ge/ge/news/691110-papuashvili-ivanishvili-otkheulze-dagmotas-ar>.
- ⁴⁶ “კობახიძე: კარლ ჰარცელი მხოლოდ უარყოფით როლს ასრულებდა EU-სა და საქართველოს ურთიერთობებში”, ტაბულა 20.07.2022,
- ⁴⁷ Ian Kelly and David J. Kramer, “Putin Is Failing in Ukraine, But Winning in Georgia”, *The Bulwark* 24.05.2022, <https://www.thebulwark.com/putin-is-failing-in-ukraine-but-winning-in-georgia/>; Will Cathcart, “Georgia’s Ruling Party Is Tanking Its Own NATO Bid”, *Foreign Policy* 08.08.2022, <https://foreignpolicy.com/2022/08/08/georgia-nato-eu-russia/>.
- ⁴⁸ იხ. ზემოთ სქროლი 13.
- ⁴⁹ “ქართულმა ოცნებამ ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარადგინა”, *Civil.ge* 01.07.2022, <https://civil.ge/ka/archives/499106>.
- ⁵⁰ “ირაკლი დარიაბაშვილი: დევგანის კრიტიკის განვრცობა და გადაჭარბება არ შედის ქვეყნის ინტერესებში”, *JAMnews* 02.09.2022, <https://jam-news.net/ge/irakli-gharibashvili-degnanis-kritikis-ganrcoba-da-gadacharbeba-ar-shedis-qveynis-interesebshi>.
- ⁵¹ “ირაკლი დარიაბაშვილი გერმანიას სტუმრობს”, *Civil.ge* 15.09.2022, <https://civil.ge/ka/archives/508251>.
- ⁵² “ACT-ის კვლევით, მოქალაქეების 87% ფიქრობს, რომ „უკრაინის ომი ჩვენი ომიც არის“, *Civil.ge* 10.03.2022, <https://civil.ge/ka/archives/478172>.
- ⁵³ “Georgians rally in support of Ukraine as MPs scramble for response 24 February 2022,” *OC Media* 24.02.2022, <https://oc-media.org/georgians-rally-in-support-of-ukraine-as-mps-scramble-for-response/>.
- ⁵⁴ Giorgi Lomsadze, “Georgians take up arms against Russia in Ukraine”, *Eurasianet* May 9, 2022, <https://eurasianet.org/georgians-take-up-arms-against-russia-in-ukraine>.
- ⁵⁵ “Protesters in Tbilisi Decry Georgian Government’s Inadequate Support for Ukraine”, *RFE/RL*, 01.03.2022, <https://www.rferl.org/a/ukraine-invasion-tbilisi-protest-georgia/31731006.html>.
- ⁵⁶ „CRRC: საქართველოს მოსახლეობას მთავრობის მხრიდან უკრაინის მეტი მხარდაჭერა სურს“, *Civil.ge*, 15.03.2022, <https://civil.ge/ka/archives/479320>.
- ⁵⁷ „საზოგადოების განწყობა საქართველოში“, აპრილი 2022, ჩატარებულია NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ.

- ⁵⁸ *Public Opinion Research Survey of Georgia, March 2022.* <https://www.iri.org/resources/public-opinion-survey-residents-of-georgia/>.
- ⁵⁹ Dustin Gilbreath, Koba Turmanidze, *Is Georgia Really Polarized?* OC Media, 06.10.2020, <https://oc-media.org/features/datablog-is-georgia-really-polarised/>
- ⁶⁰ ნათა ცქიფურიშვილი, „საქართველოში ოპოზიციაში მყოფი ადამიანიები, უქრაინაში ხელისუფლებაში არიან – კობახიძე”, ნეტგაზეთი 25.03.21 <https://netgazeti.ge/news/601741/>.
- ⁶¹ „კობახიძე: სორისის ფონდის თბილისის ოფისი ომის პარტიის დანამატად არის ქცეული“, ტბილი 22.04.2022, <https://tabula.ge/ge/news/686722-kobakhidze-sorosis-pondis-tbilisis-opisi-omis>; „კობახიძე: ომბუდსმენი „ომის პარტიას“ წარმოადგენს და ისიც ამ განზრახვის ნაწილია”, პუბლიკა 28.04.2022, <https://publika.ge/kobakhidze-ombudsmani-omis-partias-warmodoagens-da-isic-am-ganzrakhvis-nawilia/>.
- ⁶² <https://www.youtube.com/watch?v=P64gp4XPnQ>.
- ⁶³ ლუკა პერტაია, „ევტუშენკოვი ივანიშვილთან ზარებს ადასტურებს“, ნეტგაზეთი 26.04.2022, <https://netgazeti.ge/life/607214/>
- ⁶⁴ „ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელი გახდა...”, ინფოსტალიონი 10.05.2022, <https://www.infostalioni.com/2022/05/10/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%98B%E1%83%97E%E1%83%95E%E1%83%98E%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%99E%E1%83%95E%E1%83%94-%E1%83%A7E%E1%83%95E%E1%83%94E%E1%83%9A%E1%83%90E%A4%E1%83%94E%A0%E1%83%98-%E1%83%9C/>.
- ⁶⁵ „ევროპული მომავლის დასაცავად თბილისში ათიათასობით მოქალაქე შეიკრიბა”, Civil.ge 21.06.2022, <https://civil.ge/ka/archives/497223>.
- ⁶⁶ „არასამთავრობოები განდიდატის სტატუსის ვერმილების გამო ხელისუფლებას აკრიტიკებს”, Civil.ge 24.06.2022 <https://civil.ge/ka/archives/497904>; „ოპოზიცია კანდიდატის სტატუსის ვერმილებას ეხმანება”, Civil.ge 24.06.2022, <https://civil.ge/ka/archives/497983>.
- ⁶⁷ „პროეკტობული აქციის მონაწილეები პრემიერისა და მთავრობის გადადგომას ითხოვენ”, Civil.ge 24.06.2022, <https://civil.ge/ka/archives/498086>.
- ⁶⁸ „პრო-ევროპული აქციის სამომავლო გეგმები და „ოცნების“ პასუხი”, Civil.ge 04.07.2022, <https://civil.ge/ka/archives/499516>.
- ⁶⁹ „საქართველო ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი გაგზავნა“, ფორმულა 03.03.2022, <https://formulanews.ge/News/65814>; „გოცირიძე: ვინ აიძულა ღარიბიაშვილი განაცხადი შეეტანა?”, ინტერპრესიუსი 23.05.2022, <https://www.interpressnews.ge/ka/article/711696-roman-gocirize-vin-aizula-garibashvili-ganacxadi-sheetana-kin-ciskvrit-aizula-xalhma-da-opoziciam-da-zecolis-shedegad-gaxdnen-izulebuli-ganacxadi-gacketebinat/>.
- ⁷⁰ იხ. ზემოთ სქრლით 39.
- ⁷¹ „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-7 შეხვედრის შემდგომი ერთობლივი განცხადება“, Civil.ge 07.09.2022, <https://civil.ge/ka/archives/507485>.
- ⁷² „საარჩევნო სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფში ISFED-ის ჩართვაზე უარისთვის მმართველ პარტიას აკრიტიკებს”, Civil.ge 19.08.2022, <https://civil.ge/ka/archives/505044>.
- ⁷³ „დეოლიიგარქიზაციის კანონი, არსებობის შემთხვევაში, შეეხებოდა ხაზარაძე-ჯაფარიძეს, სააკავილსა და კეზერაშვილს – კობახიძე“, რადიო თავისუფლება 21.06.2022, <https://www.radiotavisupleba.ge/a/31908045.html>.
- ⁷⁴ NDI და CRRC, „საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2022 წლის აგვისტოში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები“.
- ⁷⁵ „ნაციონალური მოძრაობა ვადამდელი არჩევნების დანიშნვას ითხოვს”, Civil.ge 05.09.2022, <https://civil.ge/ka/archives/507150>.
- ⁷⁶ Ibid.
- ⁷⁷ „Mikheil Saakashvili ‘quits Georgian politics’”, OC Media 01.08.2022, <https://oc-media.org/mikheil-saakash-vili-quits-georgian-politics/>.

დანართი

ჩართველ ექსპერტებს საქართველოს ხელისუფლების პრო-დასავლური ორიენტაციისა არ სჯერათ და კისიმისტურად უყურებან ცვლილების პრინციპებას

ორი გამოკითხვის შედეგები

მაისი და ივლისი 2022

2022 წლის მაისში და ივლისში მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკა-სიურმა ინსტიტუტმა ჩატარა პოლიტიკის ქართველი ექსპერტების ორი გამოკითხვა. პირველის თემა იყო რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს საგარეო და სა-შინაო პოლიტიკაზე, ხოლო მეორის – საქართველოს მხრიდან წევრობის განაცხადზე ექროკავშირის პასუხის მნიშვნელობა, მიხეხვის და შემდგომი ნაბიჯები. ეს ანგარიში აჯამბას ორივე ამ კვლევის შედეგს. ის შინაარსობრივად დაკავშირებულია პოლიტიკის ნარკვევთან „რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაზე“, რომელთან ერთდროულად კაქვეწერდო.

გამოკითხვები ჩატარდა ონლაინ პლატფორმაზე Survey Monkey, პირველ შემთხვევაში 3 დან 16 მაისამდე, მეორე შემთდგევაში 2-დან 20 ივლისამდე, პირველ გამოკითხვას გამოეხმაურა 52, ხოლო მეორეს – 130 რესპონდენტი.

ცხადია, გამოკითხვის შედეგებს ვერ განვაზოგადებთ. მაგრამ ის გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რა განწყობებია გამოკითხვის პოლიტიკის მკვლევარებსა და ანალიტიკოსებში, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე მედიის ან კოლეგებთან ურთიერთობის გზით.

მეორე გამოკითხვაში რესპონდენტთა 41.7% წარმოადგენდა აკადემიურ სფეროს, ხოლო 35.4% – პოლიტიკის ანალიზში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს (კ.წ. think tank-ებს). დანარჩენებს შორის იყვნენ ამ საკითხზე მომუშავე უურნალისტები და დამოუკიდებელი მკვლევრები. პირველ გამოკითხვაში რესპონდენტთა განაწილება საქმიანობის სფეროების მიხედვით მსგავსი იყო. მაქსიმალურად შევეცადეთ, კვლევაში სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე რესპონდენტი ჩაგვერთო, თუმცა პასუხებში საქართველოს ხელისუფლების მიმართ კრიტიკული პასუხები ჭარბობს. ესეც მეტ-ნაკლებად ასახავს საქსპერტო წრეებში არსებულ განწყობას.

თითოეულ გამოკითხვში მხოლოდ თითო რესპონდენტი აღმოჩნდა ექროინტეგრაციის მოწინააღმდეგებე: კველა სხვა ექროინტეგრაციას ქვეწის უმთავრეს პრიორიტეტიდ მოაჩენებს. თუმცა მთლიანად მოსახლეობაში ექროინტეგრაციის მოწინააღმდეგეთა წილი უფრო დიდია, რესპონდენტთა ურთსულოვნები ამ საკითხში შეესაბამება იმ გარემოებას, რომ საქართველოს საექსპერტო წრეებში თითქმის არ მიმდინარეობს დისკუსია ექროინტეგრაციის პოლიტიკის საჭიროებაზე: საუბარი მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის გზებზეა.

რესპონდენტებს შევთავაზეთ კითხვებზე შესაძლო პასუხები და კოხოვეთ, მათთვის ყველაზე მისაღები ვარიანტები ამოქრჩიათ. თავის მხრივ, შეთავაზებული პასუხები მედიასა და საზოგადოებრივ დისკუსიებში გამოიტანებულ შეხედულებებს ასახავდა. გარდა ამისა, რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, კომენტარის სახით აეხსნათ და დაუკონტრულებინათ თავიანთი პასუხები, თუმცა ეს შესაძლებლობა შედარებით მცირე ნაწილმა გამოიყენა, ამიტომ მათი კომენტარები ამ ანგარიშში არ გამოვიყენებია.

კვლევა ჩატარდა პროფ. გია ნოდიას ზოგადი ხელმძღვანელობით,

პირითადი მიგრანტი

ორივე გამოკითხვამ გამოავლინა ექსპერტების დიდი უმრავლესობის მეტად კრიტიკული დამოკიდებულება არსებული ხელისუფლების მიმართ როგორც საგარეო პოლიტიკის, ისე შიდაპოლიტიკური განვითარების საკითხებში.

აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის ვერმიდებას ქვეყნის სერიოზულ წარუმატებლობად აფასებს და ამისთვის პასუხისმგებლობას ცალსახად ხელისუფლებას აკისრებს. მეტიც, ექსპერტთა გამოკვეთილმა უმრავლესობამ, 70%-მა, ეს წარუმატებლობა მიაწერა ხელისუფლების არა შეცდომებს, არამედ გამიზნულ სტრატეგიას. მათ გაიზიარეს მოსაზრება, რომლის თანახმადაც ხელისუფლებამ მხოლოდ საზოგადოების ზეწოლით შეიტანა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე, მაგრამ არ იყო დაინტერესებული წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებით. კიდევ უფრო დიდა უმრავლესობამ, დაახლოებით 85 პროცენტმა, ჩათვალია, რომ არსებული ხელისუფლების მიერ ევროკავშირის რეკომენდაციების სამომავლოდ შესრულების შანსი ძალიან დაბალია ან საერთოდ არ არსებობს.

ეს, ფაქტობრივად, ხელისუფლების ანტი-დასავლურ და შეფარულად პრო-რუსულ პოლიტიკაში დადანაშაულებას ნიშნავს. აქმდე, ხელისუფლების პროცენტულობის ბრალდებას ოპოზიციის რადიკალური მომხრეები გამოთქვამდნენ, ექსპერტული საზოგადოების უდიდესი ნაწილის კი, როგორც წესი, ასეთ ბრალდებებს გაზვიადებულად, დაუსაბუთებლად და პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევდა. გამოკითხვა მიანიშნებს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ფაქტობრივი პრო-რუსულობის ბრალდება „მეინსტიმული“ გახდა.

ამ ფონზე, აქტუალური გახდა კითხვა იმის შესახებ, რომ არ გადადგამს ხელისუფლება შემდეგ ნაბიჯს და დიად ხომ არ იტყვის უარს ევროინტეგრაციის პოლიტიკაზე. ექსპერტთა უმრავლესობამ, 70 პროცენტმა, ჩათვალია, რომ ამის ალბათობა დაბალია ან ეს მოსალოდნელი საერთოდ არ არის. 21%-მა ესეც შესაძლებლად ჩათვალია.

იმ ნაწილში, რაც ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების სასურველ სამოქმედო სტრატეგიას ეხება, ექსპერტებს შორის აზრი არსებითად გაიყო. აგვისტოში 42 პროცენტზე მეტმა ჩათვალია, რომ, მოცემულ ვითარებაში, მასობრივი აქციების გზით ხელისუფლების შეცვლის მცდელობა ქართული ოპოზიციისოვის და სამოქალაქო საზოგადოებისოვის ყველაზე აღექვატური სტრატეგიაა. უფრო ნაკლები – 34.4% მხარს უჭერს უფრო „კონსტრუქციულ“ მიდგომას – ხელისუფლებასთან თანამშრომლობას ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად. მეორეს მხრივ, ესპერტთა დიდი უმრავლესობა უპერსპექტივოდ მიიჩნევს ვადამდელი არჩევნების მოთხოვნას და ეწინააღმდეგება პარლამენტის ბოიკოტის განახლების მოთხოვნებს.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვოკვათ, რომ შედარებით რადიკალური მეთოდების მიმართ მხარდაჭერა საექსპერტო წრეებშიც გაიზარდა, თუმცა მათი ქმედითობის მიმართ სკეპტიციზმი მაღალი რჩება. ამ ფონზე ბუნებრივია, რომ ექსპერტების უმრავლესობა პესიმისტურად უფრებს უახლოეს მომავალში სასიკეთო ცელილებების პერსპექტივას.

**როგორ აფასებენ ექსპერტები
საქართველოს ხელისუფლების რეაქციას
რუსეთ-უკრაინის ომზე?**

მაისში გამოკითხულ ექსპერტთა დიდმა უმრავლესობამ, 84.6%-მა, მიიჩნია, რომ ხელისუფლებას გაცილებით უფრო მკეთრად უფრო გამოეხატა მხარდაჭერა უკრაინის მიმართ; კიდევ 11.5%-მა ის არსებითად ადექვატურად შეაფასა, თუმცა მაინც უფრო თანმიმდევრულ მხარდაჭერას ელოდა. მხოლოდ თითო ექსპერტი დაეთანხმა მოსაზრებას,

რომ ხელისუფლებამ მხარდაჭერის სრულიად ადექვატური დონე გამოხატა ან რომ უკრაინა მხარდაჭერის ამ დონესაც არ იმსახურებდა. 78.8%-ის აზრით, ამ რეაქციამ „რამდენადმე“ ან „სერიოზულად“ შეარყია დასავლელი პარტნიორების ნდობა საქართველოს ხელისუფლების მიმართ, ხოლო 15.4%-ის აზრით, ნდობის დონე იმავე ნიშნულზე დარჩა.

რაც შეეხება მიზეზებს, რამაც ხელისუფლების რეაქცია განაპირობა (თითოეულ ექსპერტს

სამი პასუხის შერჩევა შეეძლო), ექსპერტებმა ყველაზე დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს-ინტერესებს, შიდაპოლიტიკური ბრძოლის (ოპოზიციის დისკრედიტაციის) მიზანს და რუსეთის ინტერესების გათვალისწინების სურვილს; ექსპერტების შედარებით მცირე რიცხვმა (შესაბამისად 20.4 და 18.4 პროცენტი) დაასახელა უსაფრთხოების და ეკონომიკის პრაგმატიული მოსაზრებები, ანუ ის მოტივები, რასაც თავად ხელისუფლების წარმომადგენლები ასახელებდნენ თავიანთი პოლიტიკის გასამართლებლად.

რამდენად მოახდინა ევროკავშირის წევრობის განაცხადის შეტანამ გავლენა საქართველოს შიდაპოლიტიკურ გარემოზე?

მაისის გამოკითხვაში ექსპერტების უდიდესი უმრავლესობის, 86.5%-ის აზრით, ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველომ მეტი ავტორიტარიზმის მიმართულებით გადადგა ნაბიჯები. ეს შეფასება თანხვდება საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების რეიტინგებსაც, სადაც საქართველოში დემოკრატიის უკანდახევაა დაფიქსირებული.

ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანა ლოგიკურად აქცევდა მოლოდინს, რომ საქართველოს ხელისუფლება, სულ მცირე თავის ევროპელ პარტნიორებზე შთაბეჭდილების მოსახდენად, შეცდებოლა მეტი დემოკრატიული რეფორმის გატარებას. თუმცა მაისში, ასეთი მოლოდინი რესპონდენტების მხლობ 15.4%-ს ჰქონდა; 76.9%-მა ჩათვალა, რომ ეს ფაქტორი ხელისუფლების შიდაპოლიტიკურ ქცევაზე გავლენას არ მოახდენდა. დაახლოებით იმავე რაოდენობამ ჩათვალა, რომ ახალი სიტუაცია არც ოპოზიციის ქცევაზე მოახდენდა გავლენას. როგორც შემდეგ გამოჩნდა, ასეთი მოლოდინები სწორი იყო.

რეაქციები ევროკავშირის უარზე, საქართველოსთვის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭებინა

საქართველოს მიმართვის პასუხად, იგნისის ბოლოს, ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, რის თანახმადაც საქართველოს, ისევე როგორც უკრაინასა და მოლდოვას, მიეცა ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა, მაგრამ, ამავე ქვეყნებისგან განსხვავებით, უარი ეთქვა წევრობის კანდიდატის სტატუსზე. ჩვენ შევისწავლეთ ექსპერტთა დამოკიდებულება ამ გადაწყვეტილების ორივე კომპონენტის მიმართ.

რესპონდენტთა უმრავლესობა, თითქმის 60% დაეთანხმა პასუხის ვარიანტს, რომ „მოცემულ პირობებში [ევროკავშირის] ეს გადაწყვეტილება სამართლიანი იყო“, თუმცა მესამედზე ცოტა ნაკლებმა ჩათვალა, რომ, მიუხედავად ქვეყანაში არსებული პრობლემების, ქვეყანა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს მანც იმსახურებდა. ჩვეულებრივ, ამ მოსაზრების მომხრე ადამიანები გულისხმობენ, რომ ევროკავშირს მხედველობაში უნდა მიეღო ქართული საზოგადოების და სახელმწიფოს ზოგადი პრო-ევროპული პოლიტიკა ბოლო ათწლეულების მანძილზე. არც ერთი ექსპერტი არ დათანხმებია აზრს, რომ „საქართველო არა მხოლოდ კანდიდატის სტატუსს, არამედ ევროპულ პერსპექტივასაც არ იმსახურებდა.“

გარდა გადაწყვეტილების მართებულობის შეფასებისა, მნიშვნელოვანი იყო იმის გარევევაც, თუ ექსპერტებმა მის რომელ ნაწილს მიანიჭეს მეტი მნიშვნელობა: პოზიტიურს (ქვეყნისთვის ევროპული პერსპექტივის გახსნას), თუ ნეგატიურს (კანდიდატის სტატუსზე უარს). ამაში ექსპერტები საკმაოდ ერთსულოვნები იყვნენ: 82 პროცენტზე მეტისთვის პირველ რიგში საწყენი იყო კანდიდატის სტატუსის არმინიჭება; მხოლოდ რვანახევარმა პროცენტმა მიანიჭა მეტი „წონა“ ევროპული პერსპექტივის გახსნას, ხოლო 4 პროცენტზე ნაკლებს გაორებული რეაქცია ჰქონდა.

ვისი ბრალია, რომ საქართველომ კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღო?

კვლევამ დაადგინა, რომ ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობა, 80 პროცენტზე მეტი, პასუხისმგებლობას ევროკავშირის გადაწყვეტილების ნეგატიურ ნაწილზე – უარზე კანდიდატის სტატუსი მინიჭების მიმართ – ცალსახად ხელისუფლებას აკისრებს. 18 პროცენტი თანაბრად ანაწილებს პასუხიმგებლობას მთლიანად ოპოზიციურ კლასზე, ანუ ხელისუფლებასა და ოპოზიციაზე. მხოლოდ ექვსმა ექსპერტმა გაიზიარა ხელისუფლების წამომადგენელთა მიერ გამოთქმული შეფასება, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილების ნამდვილი მიზეზი გეოგრაფიული ფაქტორი იყო. არც ერთ ექსპერტს არ დაუკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა ოპოზიციის ქმედებებისთვის.

თითქმის ასეთივე ერთსულოვნება გამოიჩინეს ესპერტებმა გადაწყვეტილების პოზიტიური ნაწილის – ევროპავშირის პერსპექტივის გახსნის – გაანალიზებისას. სამ მეოთხედზე ცოტა მეტი დაეთანხმა შეფასებას, რომ ამით ევროკავშირმა „გაითვალისწინა ქართული საზოგადოების მრავალგზის გამოჩენილი ერთგუ-

ლება ევროინტეგრაციის პოლიტიკის მიმართ“; დაახლოებით ოცმა პროცენტმა ჩათვალა, რომ ის ამ დროს გეოსტრატეგიული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, და მხოლოდ სამმა ექსპერტმა მიიჩნია, რომ ევროკავშირმა ამით ხელისუფლების ბოლო წლებში გატარებული რეფორმები დააფასა.

ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, ოპოზიცია მიზანმიმართულად ცდილობდა ევროპელი პარტნიორების დარწმუნებას, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭებინათ. გამოკითხვაში ამ მოსაზრებას ექსპერტების მხოლოდ 11.8% დაეთანხმა. 48%-მა გაიზიარა მოსაზრება, რომ „ოპოზიცია ცდილობდა ევროპელი პარტნიორების დარწმუნებას, რომ საქართველო კანდიდატის სტატუსს იმასახურებდა, მაგრამ მას ამ მიმართულებით გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო“, ხოლო 16.5%-ის აზრით ოპოზიციამ საამისოდ გააგება ყველაფერი, რაც შეეძლო. ამ კითხვაზე პასუხისვან გამოკითხულთა შედარებით დიდმა ნაწილმა, 23.6%-მა შეიკავა თავი.

რა არის ხელისუფლების ნაძღვილი გეოპოლიტიკური სტრატეგია?

ბოლო წლებში სულ უფრო თვალსაჩინო გახდა წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, ხელისუფლების მიერ ზოგადად გამოცხადებულ პროდასავლურ სტრატეგიასა და, მეორეს მხრივ, მის პოლიტიკურ ნაბიჯებსა და ანტიდასავლურ საჯარო რიტორიკას შორის. საქართველოს პირობებში, ეს უკანასკნელი ტენდენცია ობიექტურად რუსეთან დაახლოებას ნიშნავს. ამ ფონზე გამოითქმებოდა აზრი, რომ ხელისუფლებამ მხოლოდ საზოგადოების ზეწოლით შეიტანა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე, თუმცა რეალურად კანდიდატის სტატუსის მიღების გაცილებით მეტი შანსი ექნება. მხოლოდ 7.8%-მა ჩათვალა, რომ ამ მხრივ არაფერი შეიცვლება. არც ერთი ექსპერტი არ დაეთანხმა პასუხის ვარიანტს, რომ ოპოზიციის სელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში კანდიდატის სტატუსის მიღების შანსი შემცირდება. ამ კითხვაზე პასუხისას შედარებით ბევრმა, რესპონდენტების 10.9%-მა, პასუხისვან თავი შეიკავა.

ამ ფონზე ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რამდენად შეინარჩუნებს ხელისუფლება თავის დეკლარირებულ პროდასავლურ კურსს? ხომ არ უნდა ველოდოთ შემდეგ ნაბიჯს, როდესაც ის ამ კურსზე დიად იტყვის უარის, რაც, ფაქტობრივად, რუსეთის ოპბიტაზე გადასვლას ნიშნავს? ამ საკითხზე ექსპერტების აზრები გაიყო. ყველაზე მეტი, 40.2% პროცენტი, დაეთანხმა აზრს, რომ ეს შესაძლებელია, თუმცა ამის აღბათობა დაბალია, ხოლო 30% დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება დეკლარირებულად გააგრძელებს პროდასავლურ კურსს. მხოლოდ 21%-მა შეაფასა ევროინტეგრაციის კურსზე დია უარის პერსექტივა როგორც „მაღალი“.

როგორ აფასებენ ექსპერტები ოპოზიციის დამოკიდებულებას ევროინტეგრაციის მიმართ ხელისუფლების მიდგომისგან განსხვავებით? რესპონდენტთა დიდი უმრავლესობის, 81.4%-ის აზრით, თუ დღევანდელი ოპოზიცია ხელისუფლებაში მოვიდა, ქვეყანას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების გაცილებით მეტი შანსი ექნება. მხოლოდ 7.8%-მა ჩათვალა, რომ ამ მხრივ არაფერი შეიცვლება. არც ერთი ექსპერტი არ დაეთანხმა პასუხის ვარიანტს, რომ ოპოზიციის სელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში კანდიდატის სტატუსის მიღების შანსი შემცირდება. ამ კითხვაზე პასუხისას შედარებით ბევრმა, რესპონდენტების 10.9%-მა, პასუხისვან თავი შეიკავა.

რამდენად უნდა ველოდოთ ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებას?

ევროკავშირი გაემავს, დაუბრუნდეს საქართველოსთვის სტატუსის საკითხს იმის კვალად, თუ როგორ შეასრულებს ქვეყანა ევროკავშირის მიერ ჩიყალიბებულ თორმეტ რეკომენდაციას. თავდაპირველად, მათი შესრულების ვადად ეჭვის თვე დაისახა, თუმცა შემდეგ ეს ვადა 2023 წლამდე გახანგრძლივდა. კვლევის დაწყების დროისთვის ეჭვსთვიანი ვადა ჯერ ძალაში იყო, რაც კითხვის ფორმულირებაშიც აისახა.

კვლევამ აჩვენა, რომ ეს უკანასკნელი ხედვა აგვისტოში გამოკითხულ ექსპერტთა 70%-მა გაიზიარა: ისინი დაეთანხმნენ დებულებას, რომ ხელისუფლების ბოლო თვეების ქმედებები მისივე შეტანილი განაცხადის შეგნებულ საბორტაჟს ნიშნავდა. მხოლოდ 28.4%-მა მიიჩნია, რომ მმართველ პარტიას „სურდა, ქვეყანას კანდიდატის სტატუსი მიეღო, მაგრამ მისი ნაბიჯები არ იყო ადექვატური ამ მიზნის მისაღწევად“. არც ერთმა არ გაიზიარა პასუხის ვარიანტი, რომლის თანაზმადაც ხელისუფლებამ „ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიეღო“.

ჩვენ ვკითხეთ ექსპერტებს, რამდენად დიდია აღბათობა, რომ დაგენილ ვადაში „ქართული ოცნების“ ხელისუფლება რეკომენდაციებს შეასრულებს. პასუხებში პესიმიზმი ჭვიოდა: 55%-ის შეფასებით, ამის შანსი დაბალია, ხოლო 30.2%-ის აზრით, ის საერთოდ არ არსებობს. მხოლოდ 4.6%-მა მიიჩნია, რომ რეკომენდაციების შესრულების შანსი არსებული ხელისუფლების პირობებში რეალისტურია, ხოლო 6.2%-ს ეჭვი არ ეპარება, რომ ხელისუფლება რეკომენდაციებს შეასრულებს.

რა უნდა გააკეთონ დემოკრატიის მომხრებმა?

როგორც ამ კვლევამაც დაადასტურა, საექსპერტო წრებში გაბატონებულია აზრი, რომ, არსებული ხელისუფლების პირობებში, დასავლეთისგან დაშორების და დემოკრატიის დაკინების ტენდენციები შეუქეცვადია. რა უნდა მოიმოქმედოს ამ შემთხვევაში პროდასავლურმა, დემოკრატიის მომხრე საზოგადოებამ, რომელშიც, პირველ რიგში, პოლიტიკური ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება მოიაზრება?

ბოლო ორი წლის მანძილზე, ოპოზიციაც და სამოქალაქო საზოგადოებაც ფაქტობრივად გაყოფილია სამოქმედო სტრატეგიაზე. ნაწილი თვლის, რომ ორიენტაცია წარმომადგენლობითი დემოკრატიის ტრადიციულ ინსტიტუტებზე, კერძოდ, პარლამენტში მონაწილეობაზე უნდა იყოს, ცვლილების პერსპექტივა კი მხოლოდ ოპოზიციის მიერ არჩევნების მოგებას უკავშირდება. ამგვარ სტრატეგიას უჭერს მხარს საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობაც.

სხვები სკეპტიკურად არიან განწყობილნი ასეთი ტრადიციული მეთოდების ქმედითობის, პირველ რიგში, არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების შესაძლობლობის მიმართ. მათი აზრით, ხელისუფლებას საარჩევნო პროცესებით მანიპულირების დიდძალი რესურსი აქვს და ოპოზიციის გამარჯვებას ნებისმიერ შემთხვევაში არ დაუშვებს. ცვლილებების მიღწევის ძირითადი წინაპირობა ქუჩის პროტესტების მობილიზაციაა.

კვლევებმა აჩვენა, რომ ამ საკითხზე საერთო აზრი არც ექსპერტებს შორის არსებობს, თუმცა, დროის გავლასთან ერთად, შედარებით უფრო რადიკალური სტრატეგიის მომხრეთა პოზიციები ამ წრეშიც ძლიერდება.

ამ ოემებზე ექსპერტებს აზრი ვკითხეთ როგორც მაისის, ისე აგვისტოს გამოკითხვებში. გარდა ამისა, ეს შედეგები შეიძლება შევადაროო კავკასიური ინსტიტუტის 2021 წლის აგვისტოს ანალოგიური კვლევის შედეგებს. მაშინ გამოკითხულთა მხოლოდ 28%-მა გამოთქვა მყარი რწმენა, რომ „თუ ოპოზიცია რეალურად ხელისუფლებაზე პოპულარული იქნება, მას არჩევნების მოგებას ვერავინ შეუშლის“. მეორეს მხრივ, მხოლოდ 9%-მა გამორიცხა ხელისუფლების არჩევნებით შეცვლის პერსპექტივა. უმრავლესობა, 59% ინარჩუნებდა იმედს, რომ „ქართული ოცნების“ არჩევნებით დამარცხება შესაძლებელია, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციას სახელისუფლებო პარტიასთან შედარებით გაცილებით უფრო დიდი

მხარდაჭერა (მაგალითად, 7-8%-ით მეტი) ექნება, რათა მანიპულაციების და გაყალბების ეფექტი გააძათილოს.

მაისის კვლევაში შევამოწმეთ, რამდენად შეიცვალა ექსპერტთა დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ მომდევნო პერიოდში განვითარებული მოვლენების შემდეგ. გამოკითხულოა 58.2%-მა განაცხადა, რომ მისი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ არ შეცვლილა. მათ შორის, ვინც აზრი შეიცვალა, ცვლილების მიმართულება ურთიერთსაპირისპირო იყო: ოდნავ მეტს (19.1%) ნაკლებ სჯეროდა, რომ ხელისუფლებას არჩევნების გზით შეცვლა რეალისტურია, ხოლო 15.7%-ს, პირიქით, გაუძლიერდა ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის რწმენა.

აგვისტოს გამოკითხვაში ვიკითხეთ, თუ, არსებულ პირობებში, როდესაც ხელისუფლებას ევროკავშირის რეკომენდაციებს შესრულების ნება, დიდი ალბათობით, არა აქვს, რა სტრატეგია უნდა აირჩიონ ევროინტეგრაციის აქტიურმა მხარდაჭერებმა ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოებაში? ყველაზე მეტმა, 42.4%-მა, მხარი დაუჭირა აზრს, რომ საზოგადოება უნდა ეცადოს მასობრივი აქციების გზით ხელისუფლების შეცვლას. ასევე დიდი ნაწილი, 34.4%, თვლის, რომ ოპოზიციამ და სამოქალაქო საზოგადოებამ ხელისუფლებასთან უნდა ითანამშრომლოს ევროკავშირის რეკომენდაციების შესარულებლად. 12.8% ორივე ამ გზას უპერსპექტივოდ მიიჩნევს და თვლის, რომ პრიორიტეტი 2024 წლის არჩევნებისთვის მზადება უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლ სამ კვლევაში კითხები სხვადასხვაგვარად იყო დასტული და შედეგების პირდაპირი შედარება შეუძლებელია, ეს მონაცემები მაინც გვივრის საფუძველს, ვიკარაულოთ, რომ კონკრეტური დემოკრატიული მეთოდების მიმართ (არჩევნები, საპარლამენტო მუშაობა) სკეპტიკიზმი იზრდება. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ექსპერტები არც შედარებით რადიკალური (იგულისხმება მშვიდობიანი საპროტესტო აქციები) მეთოდების პროდუქტიულობაში არიან დარწმუნებული. მაისის გამოკითხვაში, ოპოზიციის მხრიდან ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა (რაც მხოლოდ მასობრივი აქციებით შეიძლება იყოს მიღწეული) გამოიკითხულია 35.5%-მა სრულიად არარეალისტურად მიიჩნია, 48%-მა კი – ნაკლებ სავარაუდოდ. ვადამდელი არჩევნების ალბათობა მხოლოდ 3.9%-მა შეაფასა როგორც „მაღალი“.

ხელისუფლების რადიკალური კრიტიკოსების მხრიდან პერიოდულად ისმის მოთხოვნა, ოპოზიცია საპარლამენტო ბოიკოტის რეზიმს დაუბრუნ-

დეს. ასეთ სტრატეგიას ექსპერტების მხოლოდ 18% უჭერს მხარს. დიდი უმრავლესობა თვლის, რომ ოპოზიცია საპარლამენტო მეთოდებზე უნდა ფოკუსირდეს (44%) ან ეს მეთოდები ქუჩის პროტესტებს შეუხამოს (30%).

ამ განწყობებიდან გამომდინარე გასაკვირი არ არის, რომ ექსპერტების უმრავლესობა პესი-მისტურად უფროგვეს უახლოეს ორ წელიწადში დემოკრატიის პროგრესის პერსპექტივას. 51% ფიქრობს, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში საქართველო გააგრძელებს სკლას მეტი ავტორიტარიზმისკენ, ხოლო 25.5% ელის, რომ ამ მიმართულებით არაფერი შეიცვლება. მხოლოდ 13.7% ელის, რომ უახლოეს ორ წელიწადში ქვეყანა უფრო დემოკრატიული გახდება.

ასეთი პესიმიზმის ფონზე საზოგადოების დიდი ნაწილის იმედები უფრო რესეტუკრაინის ომს უკავშირდება. აქ იგულისხმება არა მხოლოდ

უკრაინის გამარჯვების მოლოდინი (მისი ხარისხი ამ კვლევით არ შეგვიმოწმება), არამედ გარაუდი, რომ უკრაინის გამარჯვება დაასუსტებს „ქართული ოცნების“ პოზიციებს და, შესაბამისად, გაზრდის პოზიტიური ცვლილებების აღბაობას. კვლევამ დაადასტურა, რომ ასეთი განწყობა ექსპერტთა შორისაც არსებობს. მაისში გამოკითხულთა 78.4% ფიქრობდა, რომ უკრაინის ჰიპოთეტური გამარჯვება „არსებითად“ ან „რამდენადმე“ დაასუსტებდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას. მხოლოდ 9.8% მიჩნევდა, რომ ომის შედეგი ქართულ პოლიტიკაზე გავლენას არ მოახდენდა; არავის უფიქრია, რომ ასეთი შედეგი მმართველ პარტიას გააძლიერებდა.

ქართულ პოლიტიკურ დისკუსიებში, როგორც წესი, ნაკლებად განიხილავენ, თუ სახელდობრ რა მექანიზმებით შეიძლება ომში უკრაინის წარმატება საქართველოს შიდაპოლიტიკურ სიტუაციაზე აისახოს: ასეთი დაკონკრეტება არც ამ კვლევაში გვითხოვთ.

